გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 89
(11 546)

13 – 15 ნოემბერი, 2001 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## პატარა ჯადოქრებმა კიდევ ერთი სასწაული მოახდინეს


ნინო ყვავაძე

სათაურში გამოტენილ ამ სიტყვებში არაფერია გადაჭარბებული. ჩვენ უკვე შევეჩვიეთ წყალმხტომაში საქართველოს ახალი თაობის წარმომადგენელთა წარმატებებს საერთაშორისო სარბიელზე. ოღონდ ეგაა, დამნახავი არავინაა. სპორტის დეპარტამენტს, სეოკ-ს და ფედერაციას არ ვგულისხმობთ, მაგრამ ქართული სპორტი მხოლოდ მათი საზრუნავი ხომ არ არის. საკუთარ სამშობლოში, პატარა ჯადოქრებს, ნორმალური წვრთნის პირობები რომ არ ექნებათ და უცხოეთში მათი გამგზავრება მხოლოდ ოჯახის შესაძლებლობებზე იქნება დამოკიდებული, რბილად რომ ვთქვათ, სირცხვილია. არადა, იზრდებიან ეს პატარები და იზრდება მათი მიღწევები. კიოლნიდან გუშინ მიღებული ინფორმაციით, გერმანიის ამ ქალაქში გამართულ ტრადიციულ დიდ საერთაშორისო ტურნირში, ჩვენმა წყალმხტომელებმა კიდევ ერთი სასწაული მოახდინეს და კიდევ ერთხელ გააოცეს სპორტის ამ სახეობის სპეციალისტები.


სალომე ჯუღელი

ტურნირში 400-ზე მეტი ჭაბუკი და გოგონა მონაწილეობდა. ჩვენი ხუთი სპორტსმენიდან შინ ოთხი მედლით ბრუნდება. პირველობა ხვდა ნინო ყვავაძეს, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა 1 მეტრიან ტრამპლინიდან ასპარეზობაში, ვერცხლის მედალი მოიპოვეს 5 მ. კოშკურიდან ხტომაში – კონსტანტინე ნანიტაშვილმა და სალომე ჯუღელმა, 1 მ. ტრამპლინზე – შოთა კოროხაშვილმა, ამავე პროგრამაში ჩვენი გუნდის მეხუთე წევრი ჯესიკა მელიქოვა VII ადგილს დასჯერდა.

გუნდურ პირველობაში გამარჯვება საქართველოს ნაკრებს ხვდა წილად. ვულოცავთ!

დაწვრილებით „ლელოს“ შემდეგ ნომერში.

## საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის ორი კანდიდატი იბრძოლებს

2

**კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი**



*VI ტური, 10 ნოემბერი*

შევარდენი – ქუთაისი 93-62 (23-14, 24-14, 21-20, 25-14)

დინამო – სსუ 70-58 (24-8, 14-15, 18-16. 14-18)

სტუ-ჯეოსელი – აზოტი 74-91 (20-14, 16-29, 10-27, 28-21)

თსუ – ბასკო 89-101 (70-70 ძირითადი დრო) (23-20, 11-18,17-17, 19-15, 9-9, 10-22)

*VII ტური, 11 ნოემბერი*

სსუ-შევარდენი 64-70 (21-18, 15-12, 15-21, 13-19)

ქუთაისი – თსუ 68-89 (13-18, 18-16, 16-30, 21-25)

დინამო – ბასკო 76-88 (24-14, 15-25, 21-22, 16-27)

სტუ – ჯეოსელი – მაკაბი 99-100 (26-18, 17-28, 33-23, 23-31)

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| აზოტი | 6 | 5 | 1 | 11 |
| ბასკო | 6 | 5 | 1 | 11 |
| დინამო | 7 | 4 | 3 | 11 |
| სტუ-ჯეოსელი | 6 | 4 | 2 | 10 |
| მაკაბი | 6 | 4 | 2 | 10 |
| თსუ | 6 | 4 | 2 | 10 |
| შევარდენი | 6 | 2 | 4 | 8 |
| ქუთაისი | 7 | 0 | 7 | 7 |
| სსუ | 6 | 0 | 6 | 6 |

## ლეგენდარული კაპიტნები: მიშელ პლატინი

7

## „ბავარია“ პლანეტის ყველაზე ძვირადღირებული კლუბი გახდა მსოფლიოში

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### ბობანი ფეხბურთიდან ბიზნესში მიდის

ხორვატიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ ზვანიმირ ბობანმა განაცხადა, რომ მიდის ფეხბურთიდან. 33 წლის ბობანი ცოტა ნაადრევად ჩამოშორდა ფეხბურთს. თავის ბოლო კლუბში „სელტაში“ მისვლამდე იგი წარმატებით თამაშობდა დიდებულ „მილანში“ 90-იანი წლების დასაწყისში. ფეხბურთელის მეუღლის ლეონარდა ბობანის თქმით, ზვანიმირს სურს თავისი მომავალი დაუკავშიროს ბიზნესს.

### ბეკენბაუერი ბირჰოფს შეეშურა

„ბავარიის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი აცხადებს, რომ იგი დაბეჯითებით მოითხოვს დროა ბირჰოფმა დაასრულოს გერმანიის ეროვნულ ნაკრებში თამაში. „ბირჰოფის დამსახურება ეჭვს არ იწვევს, მაგრამ მისი დრო წავიდა. იყო კაპიტანი, როცა მხარდაჭერა არ გაქვს, სასაცილოა. მე მას თავად ვუთხარი, რომ აღარ აქვს წარმატების არანაირი შანსი“ – განაცხადა ბეკენბაუერმა, „ამასთან იგი აღარ უყვარს მაყურებელს“ – დასძენს კლუბის პრეზიდენტი.

### ლიდერობენ ფრანგი მოჭადრაკეები

საფრანგეთის, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა გუნდები ლიდერობენ 6 ტურის შემდეგ ევროპის მოჭადრაკეთა გუნდურ ჩემპიონატში, რომელიც მიმდინარეობს ესპანეთის ქალაქ ლეონში. ფრანგ ვაჟებს 16,5 ქულა აქვთ 24 შესაძლებლიდან, ქალებს – 9 ქ, 12-დან. შემდეგ ადგილებზე მოდიან ვაჟებში – ჰოლანდიელები (16) და ინგლისელები (15,5), ქალებში – პოლონელები (7,5). ვაჟთა შეჯიბრებაში მონაწილეობს 35 ნაკრები, ქალებში – 32.

ასპარეზობა 15 ნოემბერს დასრულდება.

### ჩეჩნეთში თავს დაესხნენ ფეხბურთის მსაჯს

იშვიათად ხდება, რომ ადამიანი თავის დაბადების დღეს მოკვდეს. სწორედ ასე შეიძლება მომხდარიყო ცნობილი საფეხბურთო მსაჯის, ჩეჩნეთის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის ლომლი იბრაგიმოვის დაბადების დღეს, როცა მას 50 წელი უსრულდებოდა.

შაბათს დამთავრდა ჩეჩნეთის საფეხბურთო პირველობა და იბრაგიმოვი გროზნოში ჩაფრინდა გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად. მისი თქმით, ეს იყო დიდი ზეიმი „დინამოს“ სტადიონზე. ამასთან, საღამოს, როცა იუბილარი გროზნოს გარეუბანში ნათესავებთან მივიდა, მას თავს დაესხნენ უცნობი ნიღბოსნები, წაართვეს ფული და საათი, შემდეგ ერთმა ბანდიტმა შეასრულა თავში საკონტროლო გასროლა, მაგრამ ტყვია არ გავარდა, ამის შემდეგ მეორე უცნობმა ხელყუმბარა ესროლა მიწაზე გართხმულ იბრაგიმოვს, მაგრამ არც ის აფეთქდა, რამაც საბაბი მისცა იუბილარს ეთქვა, რომ ეს ალაჰის ნება იყო და ამიტომ ბანდიტები და სპეცსამსახურები ვერაფერს დააკლებდნენ.


ბელგია – ჩეხეთი

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

## 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი (ფლეი-ოფი)

6


უკრაინა – გერმანია



### დიეგო მარადონა დიდი ფეხბურთიდან საზეიმოდ გააცილეს...

გამოსათხოვარ მატჩში არგენტინელებმა, რომლის შემადგენლობაში მარადონაც თამაშობდა, მსოფლიო ნაკრებს მოუგეს 6-3.



## ბუენოს-აირესის ის მაგჩი... მიხეილ მესხი და... სხვები

5

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 9 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 87 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

# საქართველო – საფრანგეთი („ა“ ნაკრები) 24:20



მართალია, საფრანგეთის „ა“ ნაკრები ის ძალა არ არის, ამ სარაგბო ქვეყნის სრულ შესაძლებლობებს რომ წარმოადგენდეს, არც საქართველოს ახლანდელი ნაკრები გამოსულა მათ წინააღმდეგ მთლად ძირითადი შემადგენლობით — გვაკლდა რამდენიმე წამყვანი მორაგბე. მაგრამ მატჩმა თბილისში უაღრესად დიდი ინტერესი გამოიწვია ამ ორი ქვეყნის გუნდებს შორის. „ლოკომოტივის“ სტადიონზე, მართალია, იმდენი მაყურებელი არ შეკრებილა, როგორც ასეთი დონისა და ავტორიტეტის გუნდებს ეკადრება, მაგრამ, ვინც მატჩის სანახავად მივიდა, გაუმართლა — იხილა თანამედროვე რაგბისთვის დამახასიათებელი მაღალოსტატური პაექრობა.

მატჩი მასპინძლების უპირატესობით დაიწყო. ფრანგები თუ ტექნიკაში ბრწყინავდნენ, ჩვენები ასევე ბრწყინვალედ იყენებდნენ თავიანთ კოზირს — შერკინებას. პირველ ნახევარში „ბორჯღალოსნების“ უპირატესობა შედეგშიც აისახა 17:3. განახლებული თამაში ფრანგების უპირატესობით წარიმართა და მალე სხვაობა 17:10-მდე შემცირდა. საჭირო იყო თამაშში გარდატეხა, რაც 52-ე წუთზე ურჯუკაშვილმა მოახერხა „ლელოს“ გატანით, ამას ჯიმშელაძის კარგად შესრულებული გარდასახვა მოჰყვა და — 24:13. ამის შემდეგ გარდამავალი უპირატესობის თავის სასარგებლოდ რეალიზება ფრანგებმა მოახერხეს, ანგარიში გახდა 24:20. ეს იყო და ეს, მეტის გაკეთება სათამაშო დროში მეტოქეებმა ვერ შეძლეს.

ვის, თუ არა, უპირველესად, ქართველთა ფრანგ დამრიგებელს უნდა შეეფასებინა ჩვენების თამაშის ხარისხი. იგი არ მალავდა, რომ სტუმრებთან მოპოვებული ეს გამარჯვება ქართულ რაგბში წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა, არც ის ხარვეზები დაუფარავს, რაც მწვრთნელის გამოცდილმა თვალმა შენიშნა თავის შეგირდებში.



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

ფრანგებთან კარგი სპარინგ მატჩის შემდეგ, ახლა, საქართველოს ნაკრებს წინ ასევე სატესტო მატჩი ელოდება სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან. მწვრთნელს იმედი აქვს, რომ ტრავმირებული მორაგბეები იმ დროისთვის დაუბრუნდებიან ნაკრებს.

### საქართველო – საფრანგეთი. გუნდების შემადგენლობა

***საქართველოს ნაკრები:*** ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, თედო ზიბზიბაძე, კახა ალანია, ბადრი ხეხელაშვილი, პალიკო ჯიმშელაძე, გუჯა იოვაძე, ზურაბ მჭედლიშვილი, გია ლაბაძე, დავით ბოლღაშვილი, ვანო ნადირაძე, ვიქტორ დიდებულიძე, ლევან ცაბაძე, ავქსენტი გიორგაძე, გოდერძი შველიძე, ლევან ჯაველიძე, მამუკა მაგრაქველიძე, შოთა მოდებაძე, ირაკლი გიორგაძე, გიორგი ბუგიანიშვილი.

***საფრანგეთის ნაკრები:*** დამიენ მინასიანი, ბასტიენ სიპიელსკი, ბენუა ლეკული, მატიუ ბლინი, ფილიპ ეჟეგერაი, რეჟის სიგუარი, მატიუ კადიკი, მატიას როლანი, გვენდალ ოლივიე, ემანუელ ბალთაზარი, მიშელ დიოდი, სიმონ აზულაი, ფაბრის კულინატი, ბენჟამინ ლამდე, მატე დურთი, ანრი ვერნი, ვენსან საბარდეილი, ფრედერიკ სერმენო, ლორან მარტიკორენა, ჟატიუ ბორო, ბენჟამინ ბუაიე, დევიდ სკრელა.

## მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

# მედეა (მზია) ჯუღელი იუბილარია!

**ქალბატონო მზია!**

საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობისა და პირადად ჩემი სახელით, გულწრფელად გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას,



ოჯახურ ბედნიერებას და დიდ წარმატებებს სამსახურეობრივ საქმიანობაში.

დიდია თქვენი ღვაწლი და წვლილი საქართველოში სპორტისა და კერძოდ, ტანვარჯიშის განვითარების საქმეში, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ. გვწამს, რომ თქვენი მაღალი პროფესიონალიზმი, უდიდესი სპორტული გამოცდილება, ენერგია, შრომისმოყვარეობა და დიდი სიყვარული სამშობლოსადმი, მაგალითის მიმცემი იქნება საქართველოს ახალგაზრდობისათვის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დღევანდელ დღეს. გისურვებთ დღეგრძელობას.

ღრმა პატივისცემით,

**ირაკლი მეძმარიაშვილი,**
საქართველოს სპორტის
სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავს ქართული ტანვარჯიშის უბრწყინვალეს წარმომადგენელს, ოლიმპიური თამაშების პირველ ჩემპიონ ქალს საქართველოდან, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრს დაარსებიდან, საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ***მედეა (მზია) ჯუღელს.***

* * *

ქ. თბილისის, მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშის სპორტული სკოლა დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავს ამავე სკოლის აღზრდილს, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ პირველ ქალს საქართველოდან, საქართველოს ტანვარჯიშულ სპორტის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ***მედეა (მზია) ჯუღელს.***

* * *

საქართველოს ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავს ამავე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს და ვერცხლის მედალოსანს, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენების კავალერს ***მედეა (მზია) ჯუღელს.***

# ნოდარ ჯორჯიკია 80 წლისაა

**ბატონო ნოდარ!**

საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა და პირადად მე გულწრფელად გილოცავთ 80 წლის იუბილეს.



თქვენი, როგორც კალათბურთის პატრიარქის და შესანიშნავი პიროვნების მაგალითზე კალათბურთელთა მრავალი თაობა აღიზარდა და მიუხედავად სოლიდური ასაკისა, დღესაც დაუღალავად აგრძელებთ საშვილიშვილო საქმეს. უდიდეს მადლობას მოგახსენებთ თქვენი გაწეული ღვაწლისათვის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დღეგრძელობას.

ღრმა პატივისცემით,

**ირაკლი მეძმარიაშვილი,**
**საქართველოს სპორტის**
**სახელმწიფო დეპარტამენტის**
**თავმჯდომარე.**

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოში სპორტის და განსაკუთრებით კალათბურთის განვითარების საქმეში შეტანილი დიდი პირადი წვლილისათვის, საქართველოს სპორტის დამსახურებული ოსტატი, ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, ღირსების ორდენის კავალერი, ღვაწლმოსილი მუშაკი ***ნოდარ ჯორჯიკია*** დააჯილდოვა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საპატიო სიგელით.

* * *

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავს ქართული კალათბურთის სიამაყეს, 1952 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანს, ევროპის ჩემპიონს, სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ***ნოდარ ჯორჯიკიას.***

***გაზეთ „ლელოს“ რედაქცია უერთდება მილოცვებს, მზია ჯუღელის, ნოდარ ჯორჯიკიასა და კოტე მახარაძისადმი.***

# ვანო ელერდაშვილის პრიზზე

ამ დღეებში, თბილისში, „დინამოს“ კორტებზე, ჩატარდა მოზარდ ჩოგბურთელთა ასპარეზობა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ვანო ელერდაშვილის პრიზზე. შეჯიბრებაში ჩაება 65 სპორტსმენი.

***გავაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. 1985-86 წ.წ. დაბადებულნი. ჭაბუკები:*** 1. ვლადიმერ ბარამიძე; 2. მერაბ კოშიბაძე, 3. ლაშა კარჩოლიძე; ***გოგონები:*** 1. ქეთი ოქროაშვილი, 2. თეა ასლანიშვილი, 3. ანა ტატიშვილი; ***1987-88 წ.წ. დაბადებულნი. გოგონები:*** 1. სოფიკო კვაცაბია, 2. სოფიკო ალადაშვილი, 3. ნინი ლაგვილავა; ***1989-90 წ.წ. დაბადებულნი. ბიჭები:*** 1. რეზო ოსაძე, 2. სანდრო თოფურიძე, 3. ნიკა კაკულია; ***1991-92 წ.წ. დაბადებულნი:*** 1. ბიძინა ამაშუკელი, 2. ირაკლი ქუმსიაშვილი, 3. არჩილ მაჭავარიანი; ***გოგონები:*** 1. ბასმოტ ავილოვა, 2. გვანცა ციხელაშვილი, 3. მარია ფეტვიაშვილი; ***1993 წ. დაბადებულნი. ბიჭები:*** 1. გიორგი ორდანიძე, 2. გიორგი აფციაური, 3. დათო გიორგაძე.

**ნინო ძავთარაძე**



რობერტ ბაგოიანის ფოტო

# წოდების მინიჭება

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოში ტანვარჯიშის განვითარების საქმეში შეტანილი დიდი პირადი წვლილისათვის, საქართველოს სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენების კავალერი, ღვაწლმოსილი მუშაკი ***მედეა (მზია) ჯუღელი*** დააჯილდოვა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საპატიო სიგელით.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა, საქართველოში სპორტის პროპაგანდაში შეტანილი დიდი პირადი წვლილისათვის, სპორტულ კომენტატორს ***კოტე მახარაძეს*** მიანიჭა „საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.



**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 75 წლისთავს ულოცავს ქართული სპორტის ამაგდარ თანამდგომს, ქართული საკომენტატორო სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებელს, ბრწყინვალე მსახიობს და პიროვნებას *კოტე მახარაძეს.***

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ გულითადად ულოცავს დაბადების 75 წლისთავს ჭეშმარიტ მამულიშვილს, მსახიობსა და სპორტულ კომენტატორს, საქართველოს სახალხო არტისტს ***კოტე მახარაძეს.***

**ბონდო კობაიძე,**
**ფონდის პრეზიდენტი**

# უკვე პრეზიდენტობის ორი კანდიდატი გამოჩნდა

16 ნოემბერს საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში საპრეზიდენტო არჩევნებია, პრეზიდენტობის კანდიდატი კი ორია. გუშინ, სალამოს ამოიწურა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის მსურველთა რეგისტრაციის ვადა.

პრეზიდენტის პოსტზე საბრძოლველად, საკალათბურთო კლუბ „ვითა“-ს და საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა ბესიკ ლიპარტელიანმა, კალათბურთის ფედერაციაში სურვილი, განცხადების განმეორებით მიღების ვადის ამოწურვამდე ორი საათით ადრე გამოთქვა.

კიდევ რამდენიმე დღით ადრე, ქვეყნის კალათბურთის ფედერაციის თავკაცად გახდომის სურვილი 1972 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა მიხეილ ქორქიამ გამოთქვა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში არჩევნები თავდაპირველად, ფედერაციის წესდების თანახმად, ოქტომბრის დასაწყისში უნდა გამართულიყო, თუმცა იმ დროისათვის საკალათბურთო წრეებში პრეზიდენტობის მსურველი არ გამოჩნდა. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ვინაობა 16 ნოემბერს გახდება ცნობილი. ახალ პრეზიდენტს, რომელიც ოთხწლიანი ვადით აირჩევა, მოუწევს არა მარტო ქართული კალათბურთის იმიჯის აღდგენა, არამედ იმ ფინანსური ბერკეტების მონახვაც, რომელიც სახელმწიფოსგან დაუფინანსებლობის გამო შეკირვებულ ქართულ კალათბურთს კრიზისიდან გამოიყვანს.

# გამოჩენილი უცხოელი ჩოგბურთელები საქართველოში

**დღეს საუბარი გვექნება გამოჩენილ ჩოგბურთელებზე, რომლებიც მე-20 საუკუნის განმავლობაში ჩამოვიდნენ საქართველოში და თავისი თამაშით დიდი სიამოვნება მიანიჭეს სპორტის მოყვარულებს.**

ჩვენს ოჯახში სპორტის თემა ყოველთვის იყო აქტუალური. ჭადრაკი, ფეხბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი — ეს იმ სპორტის სახეობებია, რომელთანაც არის დაკავშირებული ჩემი ბავშვობის მოგონებები. ჭადრაკის თამაში ვისწავლე, როდესაც ვიყავი 5 წლის, ფეხბურთთან დამაკავშირა ეზომ და იმან, რომ მე ვესწრებოდი თბილისის „დინამოს" და „სპარტაკის" თამაშებს, კალათბურთთან — დაუვიწყარმა თამაშებმა ვერის პარკში თბილისის „დინამოს" და თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდებს შორის, ჩოგბურთთან კი ჩვენი თანამემამულის ედუარდ ნეგრებეცკის გამარჯვებამ ნიკოლაი ოზეროვთან საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალში 1949 წელს. გამოჩენილ ჩოგბურთელებზე პირველად გავიგე ჩემი მშობლებისგან, განსაკუთრებით დამამახსოვრდა გვარები ბაჯი და კოშე. ბაჯზე ამბობდნენ, რომ ის არის წითური, დაუმარცხებელი, 30-იანი წლების ჩემპიონი, კოშე კი თურმე ნამყოფია თბილისში და ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

1951 წელს დავიწყე ჩოგბურთის თამაში და ჩვენი მწვრთნელი არამ ხანგულიანი, ყოველთვის გვიყვებოდა გამოჩენილ ფრანგზე. ძალიან გამიმართლა, რომ 50-იან წლებში ცნობილმა ჭადრაკის ოსტატმა ნიკოლაი სოროკინმა მაჩუქა საინტერესო წიგნი „თანამედროვე ჩოგბურთი". ამ ილუსტრირებულ წიგნში იყო მოთხრობილი დიდი ჩოგბურთის ჩემპიონებზე. ბუნებრივია, ანრი კოშეს თვალსაჩინო ადგილი ეკავა წიგნში. ვინ არის ეს ანრი კოშე, რომელიც გამოდიოდა თბილისის კორტებზე და რომლის თამაშის სტილზე აქამდე კამათობენ ჩოგბურთის თეორეტიკოსები? ანრი კოშე (Henri Cochet) დაიბადა ლიონში 1901 წელს 14 დეკემბერს. მისი მამა მუშაობდა მდივნად ადგილობრივ საჩოგბურთო კლუბში. იქ ანრიმ ისწავლა ჩოგბურთის თამაში. თავისი კარიერის მანძილზე მან ოთხჯერ მოიგო საფრანგეთის ჩემპიონატი (1926, 1928, 1930, 1932), ორჯერ უიმბლდონი (1927, 1929) და ერთხელ აშშ-ის ჩემპიონატი 1928), ექვსჯერ (1927-1932) ანრი კოშემ რენე ლაკოსტთან, ჟან ბოროტრასთან და ჟაკ ბრიუნიონთან ერთად იგებს „დევისის თასს", ოთხი წლის განმავლობაში (1928-1931) ანრი კოშე სათავეში უდგას მსოფლიო უძლიერესი ჩოგბურთელების ათეულს. 1933 წელს მან დაასრულა თავისი კარიერა მოყვარულებს შორის და გადავიდა პროფესიონალებში. პროფესიონალურ ტურნირებში ის იშვიათად იღებდა მონაწილეობას, ძირითადად ეწეოდა ჩოგბურთის პოპულარიზაციას და მწვრთნელობას. იმ წლებში მან დაწერა მშვენიერი წიგნი „ჩოგბურთი", რომელსაც დღევანდლამდე არ დაუკარგავს აქტუალობა ჩოგბურთის ტაქტიკის ნაწილში. 1936 წელს კოშე პირველად ჩამოდის საბჭოთა კავშირში, სადაც ის ატარებს მთელ რიგ საჩვენებელ გამოსვლებს მოსკოვში, ლენინგრადში და კიევში, ამ თამაშებში მონაწილეობდნენ ჩვენი თანამემამულეები ედუარდ ნეგრებეცკი და არჩილ მდივანი. 1937 წელს ზაფხულში კოშემ მოსკოვში ჩამოაყალიბა საჩოგბურთო სკოლა. ამ სკოლაში იყვნენ ქართველი მწვრთნელები და ჩოგბურთელები — იან ჰომერი, არამ ხანგულიანი, ვახტანგ (გუგული) დიდიძე, ვანო ელერდაშვილი, დავით გულიაშვილი, ბორის კრუპენიკოვი, პავლე პოდპორინი, ნუნუ ხელაია. და აი ქართულ გაზეთებში, ვკითხულობთ, რომ 1937 წლის 22-24 ივლისს 17 საათზე ჟორესის ქუჩაზე მდებარე კორტებზე (დღეს მარჯანიშვილის ქუჩა) შედგება ანრი კოშესი და წამყვანი საბჭოთა ჩოგბურთელების ბორის ნოვიკოვის, ედუარდ ნეგრებეცკის, ევგენი კუდრიავცევის და ნიკოლაი ჯაკსონის გამოსვლები. სამწუხაროდ, მონაწილეებს შორის აღარ იყო რეპრესირებული, ბრწყინვალე არჩილ მდივანი. ერთეულებში კოშემ ადვილად მოუგო ნეგრებეცკის და ნოვიკოვს, ხოლო წყვილთა თანრიგში ჯაკსონთან ერთად გამარჯვება მოიპოვა ნეგრებეცკიზე და კუდრიავცევზე.

მსოფლიო საჩოგბურთო ენციკლოპედიაში ანრი კოშე დახასიათებულია, როგორც ჩოგბურთის გენიოსი: 1976 წელს ანრი კოშე არჩეულ იქნა ჩოგბურთის დიდების დარბაზში. გარდაიცვალა 1987 წელს 1 აპრილს საფრანგეთში დაბა St. Germain-en-Laye-ში. 24 წლის შემდეგ, 1961 წელს, ივლისში თბილისში ისევ ასპარეზობენ მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელები. 50-იან წლებში ნაწილობრივ გაიხსნა რკინის ფარდა. საბჭოთა კავშირში ჩამოდის ლეონარდ ბერნსტაინი, ნიუ-იორკის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. ჩამოდიან განთქმული ჯაზმენები — ბენი გუდმენი და მაქს გრეგური. 1959 წელს მოსკოვს ეწვია განთქმული პროფესიონალი საკალათბურთო გუნდი „ჰარლემ გლობროტერსი", რომელსაც სათავეში ედგა უდიდესი უილტ ჩემბერლენი. 1961 წელს საბჭოთა კავშირში ტურნეს ატარებს ჯეკ კრამერის განთქმული პროფესიონალი საჩოგბურთო დასი.

კრამერი თავად იყო 40-იანი წლების გამოჩენილი ჩოგბურთელი. 1946-1947 წლებში აშშ-ს ჩემპიონი, 1947 წლის უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებული. მაშინვე ის გადადის პროფესიონალებში და 1948 წელს ხდება მსოფლიო ჩემპიონი. კრამერის დასის შემადგენლობაში შედიოდნენ გამოჩენილი ჩოგბურთელები ლიუ ჰოადი (1934-1994), ტონი ტრაბერტი, პანჩო სეგურა, კურტ ნილსენი, ბარი მაკკეი და ბატჩ ბუჰგოლცი. სამწუხაროდ, თბილისში ვერ ჩამოვიდნენ პანჩო გონზალესი და კენ როზუოლი. ბუნებრივია, მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო ორ გამოჩენილ ჩოგბურთელზე — ავსტრალიელ ლიუ ჰოადზე და ამერიკელ ტონი ტრაბერტზე. ჰოადს 1956 წელს ცოტა დააკლდა, რომ მოეპოვებინა „დიდი სლემი". მან ზედიზედ იზეიმა გამარჯვება ავსტრალიის, საფრანგეთის და უიმბლდონის ჩემპიონატებში, მაგრამ აშშ-ის ჩემპიონატის ფინალში წააგო თავის მეგობართან — კენ როზუოლთან. ტონი ტრაბერტსაც 1955 წელს „დიდი სლემის" მოგების შესაძლებლობა ჰქონდა., მაგრამ ავსტრალიის ჩემპიონატის ნახევარფინალში მან ისევ კენ როზუოლთან წააგო. ამჟამად ტრაბერტი აშშ-ის ტელევიზიის ერთ-ერთი წამყვანი კომენტატორია. 1978 წელს ის ჩოგბურთის დიდების დარბაზის წევრი გახდა.

კრამერის დასის თამაშები ჩატარდა „სპორტის სასახლეში" ხის საფარზე და გამოიწვია სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი. ძალიან შთამბეჭდავი იყო შეხვედრა ლიუ ჰოადის და ტონი ტრაბერტს შორის. მეტოქეებმა აჩვენეს მწვავე, შემტევი ჩოგბურთი და გამარჯვება ერგო ლიუ ჰოადს ანგარიშით 11:9, 9:7. 1973 წელს „დინამოს" კორტებზე „დევისის თასის" გათამაშების ფარგლებში შეხვდნენ საბჭოთა კავშირის და რუმინეთის ჩოგბურთელები. რუმინეთის გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა აშშ-ის 1972 წლის ჩემპიონი, საფრანგეთის 1973 წლის ჩემპიონატის გამარჯვებული და 1973 წლის მსოფლიოს პირველი ჩოგანი ილიე ნასტასე. მაღალი, კარგად განვითარებული მუსკულატურით, მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩოგბურთის მოყვარულებზე, საუკეთესო ტექნიკის ნასტასე ქადაგებდა მწვავე კომბინაციურ ჩოგბურთს. მაშინ რუმინელებმა მოიგეს ანგარიშით 3:2. ნასტასემ გაიმარჯვა ა. მეტრეველთან და თ. კაკულიასთან, ხოლო წყვილში იონ ცირიაკთან ერთად — ა. მეტრეველთან და ს. ლიხაჩოვთან.

1976 წელს სპორტის სასახლეში შედგა ამხანაგური შეხვედრა საბჭოთა კავშირის და აშშ-ს გუნდებს შორის. აშშ-ს გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა განთქმული ჩოგბურთელი ბილი ჯინ კინგი — „დიდი სლემის" ტურნირების 12 ტიტულის მფლობელი ერთეულთა თანრიგში. თამაშები ჩატარდა ხალიჩის საფარზე და ბილი ჯინ კინგმა სძლია განთქმულ რუს ჩოგბურთელს ოლღა მოროზოვას.

თბილისში სხვადასხვა დროს თამაშობდნენ აგრეთვე სხვა ცნობილი ჩოგბურთელები. 1961 წელს თბილისის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვება მოიპოვა ცნობილმა უნგრელმა ჩოგბურთელმა იშტვან გუიაშმა. 1962 წელს ამხანაგური შეხვედრები ქართველ ჩოგბურთელებთან ჩაატარეს „დიდი სლემის" ტურნირების გამარჯვებულებმა წყვილთა და შერეულ წყვილთა თანრიგში ბობ ჰიუიტმა და ოუენ დევიდსონმა. 1985 წელს „დევისის თასის" გათამაშებაში საბჭოთა კავშირის და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის (შეხვედრა ტარდებოდა თბილისის „სპორტის სასახლეში"), გამოდიოდა 80-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი, 1988 წლის ოლიმპიური ჩემპიონი მიროსლავ მეჩირი.

თავისუფლების მოპოვების შემდეგ, საქართველოში განთქმული ჩოგბურთელის ლეილა მესხის ინიციატივით, 1997 წლიდან ტარდება საერთაშორისო ტურნირები, ამ ტურნირებზე თბილისსა და ბათუმში გამოდიოდნენ ბევრი ცნობილი ჩოგბურთელები. მათ შორის უთუოდ უნდა აღვნიშნოთ დღეს უკვე განთქმული ელენე დემენტიევა — 2000 წლის ოლიმპიური თამაშების და აშშ-ს ჩემპიონატის პრიზიორი.

ჩოგბურთის ტურნირები, რომელიც ტარდება საქართველოში, თანდათან იძენს მეტ პოპულარობას და ვიმედოვნებთ, რომ სულ მალე საქართველოს კორტებზე ვიხილავთ თანამედროვე ჩოგბურთის გამოჩენილ ოსტატებს.

**ვლადიმერ გოგლიძე,**
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი



ანრი კოშე



*1961 წ. თბილისი, ივლისი. მარცხნიდან: ლიუ ხოადი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, პანჩო სეგურა.*

# ხსოვნის ტურნირი

ჩატარდა პოლიციის პოლკოვნიკის, სპორტის ოსტატ გივი ჯიკაიძის ხსოვნის ტურნირი 1987-1989 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შორის, რომელშიც 200-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს:*** ***26 კგ:*** 1. ნიკა კუსიანი, 2. გიორგი დავითური (ორივე — შევარდენი), 3. რუფატ აგაევი (მარნეული) და აკაკი გაროზაშვილი (თეზი); ***29 კგ:*** 1. ნუგზარ თავზარაშვილი (შევარდენი), 2. თამაზ ლეკიშვილი (მარტყ), 3. რეზო მარგიანი (მარნ) და ლაშა სიდამონიძე (თეზი); ***32 კგ:*** 1. შალვა რუაძე (ორს), 2. ბესო სინჯიკაშვილი (მარტყ), 3. ნიკა ხორგუაშვილი (კასპი) და მამუკა ოსიაშვილი (მარტყ); ***35 კგ:*** 1. ლევან ნახუცრიშვილი (ლოკომ), 2. ზევლა რეხვიაშვილი (რუსთ), 3. შოთა პართენიშვილი (შევარდ) და ზაურ გაგნიძე (რუსთ); ***40 კგ:*** 1. თენგიზ პაპოშვილი (ორს), 2. ვახტანგ იმერლიშვილი (შევარ), 3. ვასილ კეჟერაშვილი (მარტყ) და კახა ჩანაშვილი (ორს); ***50 კგ:*** 1. ლაშა ტვილდიანი, 2. ზურაბ კევლიშვილი (ორივე — ორს), 3. შოთა ბეჟიტაშვილი (მართ) და ლევან გორგაძე (შევარ); ***55 კგ:*** 1. ლევან იმერლიშვილი, 2. უჩა ხუციშვილი, 3. ნუკრი ჩოჩიშვილი და ბექა მარკველიანი (ყველა — შევარდენი); ***60 კგ:*** 1. დავით ხაბულიანი, 2. გიორგი წელაური (ორივე — ორს), 3. ვახტანგ პარკაული (შევარდ) და დავით გოგოლაძე (ლოკ); ***66 კგ:*** 1. გივი დემეტრაშვილი (შევარდ), 2. ლილე ნავერიანი (მარნ), 3. დიმიტრი კოლაშვილი და ვასილ მილდისელი (ორივე — მართ); ***72 კგ:*** მიხეილ ყიფშიძე (მარ), 2. მიხეილ ლაჩაშვილი (ორს), 3. გიორგი კუთარიშვილი (ძალისი) და ავთანდილ ჯარიაშვილი (მართ); ***81 კგ:*** 1. ტარიელ ღვინიაშვილი (შევარდ), 2. დავით გვენეტაძე (ვაკე), 3. ირაკლი ლორია (ორს); ***+ 81 კგ:*** 1. ალექსი ღვინიაშვილი (შევარ), 2. ალექსანდრე ჰიკაიძე, 3. ირაკლი ჯგენერაია (ორივე — ვაკე); აბსოლუტურ წონაში უძლიერესი იყო ალექსანდრე ჰიკაიძე.


**გამოიწერეთ გაზეთი**

**მაცნე**

სააქციო საზოგადოება „მაცნე" გთავაზობთ ქართული, რუსული და უცხოური ჟურნალ-გაზეთების გამოწერას. თქვენს მიერ გამოწერილი გამოცემები მოგეწოდებათ ქ. თბილისის ნებისმიერ მისამართზე. დატარება ხორციელდება უფასოდ.

ქართული და უცხოური ჟურნალ-გაზეთების, წიგნებისა და სასწავლო სახელმძღვანელოების „მაცნეს" კატალოგი შეგიძლიათ მიიღოთ სს „მაცნეს" პრესის გავრცელების ჯიხურებში და ქვემოთ მითითებულ მისამართებზე უფასოდ.

ხელმოწერის გაფორმება შეიძლება „მაცნეს" ხელმოწერის პუნქტებში, შემდეგ მისამართებზე:

- ცენტრალური ოფისი
კ. გამსახურდიას გამზ. 42 ტ. 37-47-49
- კ. გამსახურდიას გამზ. 39 ტ. 25-33-88
- რუსთაველის პრ. 31 (ცენტრ. ტელეგრაფის შენობა) ტ. 98-57-22
- ი. ჭავჭავაძის გამზ. 46 ტ. 22-64-58
- რ. თაბუკაშვილის ქ № 12 ტ. 93-12-94
- აკ. წერეთლის გამზ. 73 ტ. 34-75-51
- ი. ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.14 ტ. 95-87-36
- ქეთევან წამებულის გამზ. 61 ტ. 74-14-47 ტ. 71-32-87
- დ. გურამიშვილის გამზ 30 ტ. 60-80-22

ჟურნალ-გაზეთების გამოწერის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ყოველდღიურად (გარდა შაბათისა) 12.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე შემდეგ ტელეფონებზე: 25-33-88.

დაზოგეთ დრო, გამოიწერეთ და თქვენ კმაყოფილი დარჩებით.



საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა XV ტურის მიმოხილვა

# ერთი უდრის – სამს

დაძაბული, თავდაუზოგავი, უშეღავათო გამოდგა მოსაპარეზეთათვის უმაღლესი ლიგის მეთხუთმეტე ტური.

გოლების სიმცირით გამოირჩა პარასკევის სალიგო მატჩები. ექვს შეხვედრაში შვიდი გოლი გავიდა მხოლოდ. ბოლნისში ჩასულმა ჩემპიონმა დიდი გაჭირვებით დაძლია მასპინძელთა წინააღმდეგობა და ქუთათელაძის ბოლო წუთებზე გატანილი ერთადერთი გოლით დაამტკიცა თავისი მცირე უპირატესობა მატჩში.

კვლავ სამიზნე მორღვეულია „ვიტ ჯორჯია". აგერ ლიდერთან ჭიდილშიც ნულოვან ფრეს დასჯერდნენ ვიტელები, თუმცა ლაშა ნოზაძეს რომ ეყოჩაღა. ვეტერინარები მოიგებდნენ კინკილა გოლის წყალობით, მაგრამ ლომაიამ ივარგა და თავდამსხმელს დღეული მოუგო.

ტურში კიდევ სამი შეხვედრა დასრულდა მინიმალური ანგარიშით. „გურიამ" დამსახურებულად მოუგო „კოლხეთს" და მცირე ხნით მშვიდად ამოისუნთქა. ბათუმში პრინციპულ დაპირისპირებაში იყოჩაღეს მასპინძლებმა, აფხაზავამ „დინამო" „მერანს" გაუტოლა. შეებრძოლა „მეტალურგი" თბილისურ „დინამოს", მაგრამ მაინც ვერას გახდა, წააგო და ისევ ტურნირის ფსკერზე დაილექა. „დინამო" კი პირიქით, წლეულს პირველად დაწინაურდა. და ახლა მესამე ადგილზეა ერთი კვირით მაინც, ყველაზე იოლად გაიმარჯვა საკუთარი უსუსურობით გამწარებულმა „გორდამ". ჩემპიონატში სულ მეორედ მომგები რუსთაველთა მსხვერპლი „სამგურალი" შეიქნა. „გორდამ" ტურის თანმიმდევრობა დაარღვია და სტუმარს სამი გოლი გაუტანა.

გოლები თუ მოაკლდა მატჩებს, აყალმაყალი, ჩხუბი, გაწევ-გამოწევა და ფერად-ფერადი ბარათების ფრიალი მრავლად იყო. ბოლნისში სერგო კვარაცხელიამ ფეხბურთელები ექვსჯერ გააფრთხილა. რუსთავში ოთხი მოთამაშე „დასაჩუქრდა" ბარათებით. ამდენივეს თავგამოდება აღირიცხა მცხეთაში. ბათუმში ალექსანდრე შილაკაძემ პრინციპულობა გამოიჩინა და ფეხბურთელთა მოჭარბებული ტემპერამენტი ექვსი ყვითელი და ერთი წითელი ბარათით დააცხრო. ზესტაფონში სტუმარ-მასპინძელმა, მანწკავა — გეწაძე მინდორი მუშტი-კრივისთვისაც გამოიყენეს. მერე „მეტალურგის" ქომაგებმაც გამოიდეს თავი და თანამსაჯ მამუკა ურუშაძეს ქვები დაუშინეს, მატჩი კინაღამ ჩაშალეს. რკინიგზელთა თავკაცს კახაბერ ცხადაძეს მცხეთიდან წამოღებული ქულა ეცოტავა და გასახდელისკენ მიმავალ მსაჯებს გამოენთო, მალაღურაძეს შეაფურთხა, არბიტრები და მატჩის დელეგატი „ტკბილად" მოიკითხა და გაუჩინარდა. ერთადერთი მატჩი, სადაც მსაჯი არავის შეუჩვენებია, ლანჩხუთში იყო. გურულები და კოლხები მშვიდობიანად, უჩხუბრად დასცილდნენ.

მოკლედ მეთხუთმეტე ტურის არითმეტიკა მარტივი და გასაგები იყო, ერთი გოლი — სამი ქულა. აი, ისედაც საქმე ულევ სფფ-ს სადისციპლინო კოლეგას თავსატეხი და გასარჩევი უეჭველად მოემატება. ჩემპიონატში მომდევნო ტურამდე თასის მერვედფინალებია.

# ტექნიკური შედეგები

**სიონი – ტორპედო 0-1**
***სიონი:*** ვოლკოვი, სვანიძე, სიდამონიძე, შაკიაშვილი, პაპიძე, მინდიაშვილი, ბარქაია, მოსეშვილი (თარგამაძე 88), დაუშვილი, ისიანი (გლუნჩაძე 75), ბ. შენგელია (მინაშვილი 70).
***ტორპედო:*** გვარამაძე, აბრამიძე, ხვადაგიანი, მახვილაძე, თოდუა, დიდავა, სილაგაძე, ქემოკლიძე, იონანიძე, პოროშინი, ქუთათელაძე.
*გოლი:* 0-1 ქუთათელაძე (87)
*გააფრთხილეს:* პოროშინი, შენგელია, აბრამიძე, ქუთათელაძე, სვანიძე, სიდამონიძე.
*მსაჯი:* ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**გორდა – სამგურალი 3-0**
***გორდა:*** კოროშინაძე, ზვ. ლაბაძე, ბურნაძე, ლაშა სილაგაძე, ლურსმანაშვილი (ზ. ლაბაძე 46), ალადაშვილი, მელაძე, ჯელაძე (კაპანაძე 54), გ.ა. მიქაძე, რ. გოცირიძე, კიტეიშვილი (პეტრიაშვილი 46).
***სამგურალი:*** ბოდოკია, ბერაძე, ფრანგიშვილი, ბანძელაძე, დ. ჭელიძე, (გ.ა. მიქაძე 54), ფხაკაძე (ჯინჭარაძე 70), დარსაძე, კ. ჯანაშია (კოპალიანი 44), ღონღაძე, კიკვიძე, ხუნდაძე.
*გოლები:* 1-0 მელაძე (50), 2-0 კაპანაძე (81), 3-0 პეტრიაშვილი (90)
*გააფრთხილეს:* ფხაკაძე, სილაგაძე, მელაძე, ფრანგიშვილი.
*მსაჯი:* ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**გურია – კოლხეთი 1-0**
***გურია:*** ჩომახიძე, ებრალიძე, ორბელაძე, განევი, ფაცურია, ხუჭუა (პატარაია 69), კაციაშვილი, პატარიძე, სულაკაძე, ენდელაძე (ლ. ჩხაიძე 86), კ. მეტრეველი (დ. ოდიკაძე 79).
***კოლხეთი:*** მ. გვასალია, ქუტიძე, მიქელთაძე (კ. კვეტენაძე 35), ქობულაძე, პაპავა (ნარსია 85), გოროზია, ფანჩულიძე, კრასოვსკი, ტორჩინავა (ბაჩილავა 67), კვირკველია, მუმლაძე.
*გოლი:* 1-0 ენდელაძე (39)
*მსაჯი:* ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი 0-0**
***ვიტ ჯორჯია:*** ჭურაძე, ზაზაშვილი (ჯ. მუჯირი 82), თ. კობიაშვილი, ჭანკოტაძე, დ. დოლიძე, ზ. მეტრეველი, თედორაძე, ნოზაძე, ადამია (გოჩიაშვილი 75), გოგობერიშვილი, ცქიფურიშვილი (წუწუნავა 57).
***ლოკომოტივი:*** ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, ზ. ლაცაბიძე, ონიანი, ჰიჭვეიშვილი, ქორიძე, ბაქრაძე (არუდაშვილი 63), დათვაძე (დ. გოდერძიშვილი 80), გოგიჩაიშვილი, კაიდარაშვილი.
ნოზაძემ ვერ გაიტანა პენალტი 89-ე წუთზე.
*გააფრთხილეს:* გოგიჩაიშვილი, თედორაძე, ონიანი, ჰიჭვეიშვილი.
*მსაჯი:* მ. მალაღურაძე (თბილისი)

**დინამო (ბთ) – მერანი 1-0**
***დინამო:*** ჭანტურია, თურმანიძე, არჩვაძე, მინდაძე, კობიძე, ხუჯაძე, გ. ჩხაიძე (რომანაძე 46), დარჩიძე (გვაზავა 89), ტუღუში (ქაცარავა 62), მაჭუტაძე, აფხაზავა.
***მერანი:*** დევაძე, კვეკვესკირი, გოგიტაძე, ცქიფურიშვილი, ილურიძე, ბოლქვაძე, ბაჯელიძე, კოშკაძე (ი. შენგელია 70), დავითაშვილი, გაგუა, დევიძე.
*გოლი:* 1-0 აფხაზავა (55)
*გააფრთხილეს:* ილურიძე, აფხაზავა, ცქიფურიშვილი, კობიძე, არჩვაძე.
*გააძევეს:* ცქიფურიშვილი
*მსაჯი:* ა. შილაკაძე (თბილისი)

**მეტალურგი – დინამო (თბ) 0-1**
***მეტალურგი:*** მერკვილიშვილი, გურეშიძე, ორმოცაძე, მერებაშვილი, მაღლაკელიძე, მემარნიშვილი, ამაშუკელი (ქურციკიძე 87), გეწაძე, ღონღაძე, ფირცხალაიშვილი (კრავეიშვილი 60), ხმალაძე (გოგაძე 70).
***დინამო:*** ზოიძე, სვანაძე (იაგორაშვილი 50), კანდელაკი, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, სახვაძე (მიკუჩაძე 72), ამისულაშვილი, ბურდული, დარასელია, გ.ვ. მიქაძე, ბობოხიძე (მანწკავა 46).
*გოლი:* ვაშაკიძე (77)
*გააფრთხილეს:* მაღლაკელიძე
*გააძევეს:* გეწაძე, მანწკავა
*მსაჯი:* მ. მაისურაძე (თბილისი)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ტორპედო** | 15 | 12 | 2 | 1 | 37-10 | 38 |
| **ლოკომოტ.** | 15 | 11 | 2 | 2 | 30-8 | 35 |
| **დინამო (თბ)** | 15 | 8 | 3 | 4 | 27-12 | 27 |
| **მერანი** | 15 | 8 | 1 | 6 | 26-22 | 25 |
| **დინამო (ბთ)** | 15 | 7 | 4 | 4 | 20-12 | 25 |
| **კოლხ. 1913** | 15 | 6 | 3 | 6 | 23-24 | 21 |
| **ვიტ ჯორჯია** | 15 | 5 | 6 | 4 | 19-16 | 21 |
| **სიონი** | 15 | 4 | 4 | 7 | 10-21 | 16 |
| **ურია** | 15 | 2 | 6 | 7 | 14-24 | 12 |
| **გორდა** | 15 | 2 | 4 | 9 | 13-28 | 10 |
| **სამგურალი** | 15 | 2 | 4 | 9 | 10-28 | 10 |
| **მეტალურგი** | 15 | 1 | 5 | 9 | 6-28 | 8 |

## ბომბარდირები

**8 — აშვეთია (ტორპედო)**
**ბობოხიძე (დინამო თბ)**
**წივწივაძე (კოლხეთი 1913)**
**გაგუა (მერანი)**
**7 — დათვაძე (ლოკომოტივი)**
**პოროშინი (ტორპედო)**
**6 — გოგობერიშვილი (ვიტ ჯორჯია)**
**დავითაშვილი (მერანი)**
**იონანიძე (ტორპედო)**
**მაჭუტაძე (დინამო ბთ).**

# საპასუხო მატჩები

## ანონსი

***13 ნოემბერი***
ქობულეთი — გორდა (0-2)
მილანი — გურია (0-1) (გადაიდო 21 ნოემბრისათვის)
დილა — ლოკომოტივი (0-3)
ვიტ ჯორჯია — სამგურალი (2-0)
სიონი — დინამო (თბ) (0-2)
კოლხეთი 1913 — დინამო (ბთ) (1-3)
ტორპედო — მერანი (1-0)

***14 ნოემბერი***
მეტალურგი — თსუ (0-3)
მატჩები დაიწყება 14 საათზე.

*შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემულია პირველი მატჩების შედეგები.*




# პირველი ლიგა XV ტური

მილანი — თორი 6-2
ქობულეთი — ლოკომოტივი3 0-0
კოლხეთი (ხ) — ლაზიკა 1-1
დინამო2 — ცხინვალი 2-1
მერანი2 — დილა 0-4
ლოკომოტივი (სამტრ) — თსუ (გადაიდო)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დილა** | 15 | 10 | 2 | 3 | 34-7 | 32 |
| **ქობულეთი** | 15 | 9 | 4 | 2 | 19-9 | 31 |
| **მილანი** | 15 | 9 | 4 | 2 | 37-14 | 31 |
| **თსუ** | 14 | 9 | 2 | 3 | 26-9 | 29 |
| **ლოკომ..3** | 15 | 6 | 6 | 3 | 22-15 | 24 |
| **ცხინვალი** | 15 | 7 | 2 | 6 | 29-22 | 23 |
| **დინამო2(თბ)** | 15 | 7 | 1 | 7 | 14-16 | 22 |
| **ლაზიკა** | 15 | 5 | 4 | 6 | 17-24 | 19 |
| **ლოკ. (სამტ)** | 14 | 3 | 4 | 7 | 12-22 | 13 |
| **კოლხეთი (ხ)** | 15 | 2 | 7 | 6 | 11-23 | 13 |
| **მერანი2** | 15 | 2 | 1 | 12 | 3-32 | 7 |
| **თორი** | 15 | 1 | 1 | 13 | 11-47 | 4 |

# მსაჯები, ინსპექტორები

***ქობულეთი — გორდა.*** მთავარი მსაჯი — ა. შალამბერიძე, ასისტენტები — გაბრიაძე, რუსიშვილი, მეოთხე მსაჯი კიკაჩეიშვილი, ინსპექტორი — რ. ჩილაჩავა.
***ტორპედო — მერანი.*** მთავარი მსაჯი — ა. მეშკოვი, ასისტენტები — ხუციშვილი, მენთეშაშვილი, მეოთხე მსაჯი — სანაია, ინსპექტორი — ი. მჭედლიშვილი.
***ვიტ ჯორჯია — სამგურალი.*** მთავარი მსაჯი — ლ. ფანიაშვილი, ასისტენტები — ბრეგვაძე, სილაგავა, მეოთხე მსაჯი — ხეცაძე, ინსპექტორი — ო. გუნთაძე.
***დილა — ლოკომოტივი.*** მთავარი მსაჯი — ვ. დოგრაშვილი, ასისტენტები — დოლიძე, ურუშაძე, მეოთხე მსაჯი მაისურაძე, ინსპექტორი — ნ. კაკულია.
***სიონი — დინამო (თბ).*** მთავარი მსაჯი — ა. შილაკაძე, ასისტენტები — ი. შალამბერიძე, ელიკაშვილი, მეოთხე მსაჯი — ორდინიძე, ინსპექტორი — ს. კუტივაძე.
***კოლხეთი 1913 — დინამო (ბთ).*** მთავარი მსაჯი — ს. კვარაცხელია, ასისტენტები — სამხარაძე, ცირდავა, მეოთხე მსაჯი — ბუიშვილი, ინსპექტორი — ა. დურსუნიში.
***მეტალურგი — თსუ.*** მთავარი მსაჯი — ი. კახიანი, ასისტენტები — მიქელაძე, ჩიგოგიძე, მეოთხე მსაჯი — მალაღურაძე, ინსპექტორი — ა. მილჩენკო.

# აღმასკომი «სიმპათიაში»

დღეს, 13 ნოემბერს, 16 საათზე სასტუმრო „სიმპათია" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის მე-13 სხდომას უმასპინძლებს.

**დღის წესრიგი**

1. უეფას მიერ სფფ-ს აუდიტორული შემოწმების შესახებ.
2. საქართველოს თასისთვის ყიფიანის სახელის მინიჭების შესახებ.
3. მწვრთნელთა მუდმივი კურსების დამტკიცება.
4. სხვადასხვა.

სხდომის დასრულების შემდეგ, გაიმართება სფფ-ს ხელმძღვანელთა და სტუმრების, უეფას აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს მენეჯერის ერიხ ეპლესა და აუდიტორული ფირმის „ერნსტ ენდ იანგის" წარმომადგენლის ლენკა ტუჩეკის პრესკონფერენცია.



# რეგიონული ლიგა

## აღმოსავლეთის ზონა.

### XIII ტური

ვიტ ჯორჯია2 — თბილისი 6-0
ზოოვეტი — ოლიმპიკი 0-2
ივერია — ვარძია 2-0
დინამო3 — გორდა2 2-4
მცხეთა — ალაზანი 2-0
მერანი3 — ჯავახი 4-1
მრეტები — ცხუმი 1-5
კრწანისი — ჭაბუკიანი 0-1
ლიახვი — აკადემია (გადაიდო)
მაუდი — მესხეთი 2-0

*XII ტურის მატჩი*
ოლიმპიკი — ვიტ ჯორჯია2 2-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მცხეთა** | 13 | 11 | 1 | 1 | 33-7 | 34 |
| **ალაზანი** | 13 | 9 | 2 | 2 | 35-14 | 29 |
| **ივერია** | 13 | 9 | 2 | 2 | 35-16 | 29 |
| **მაუდი** | 13 | 9 | 2 | 2 | 19-7 | 29 |
| **ზოოვეტი** | 13 | 8 | 1 | 4 | 24-15 | 25 |
| **ოლიმპიკი** | 13 | 7 | 3 | 3 | 27-13 | 24 |
| **ვიტ ჯორჯია2** | 13 | 6 | 4 | 3 | 35-10 | 22 |
| **ცხუმი** | 13 | 6 | 3 | 4 | 25-12 | 21 |
| **ვარძია** | 13 | 6 | 3 | 4 | 13-13 | 21 |
| **ჭაბუკიანი** | 13 | 5 | 6 | 2 | 17-9 | 21 |
| **აკადემია** | 12 | 5 | 4 | 3 | 21-15 | 19 |
| **ლიახვი** | 12 | 5 | 1 | 6 | 18-23 | 16 |
| **მესხეთი** | 14 | 5 | 1 | 8 | 16-24 | 16 |
| **გორდა2** | 13 | 4 | 3 | 6 | 21-19 | 15 |
| **თბილისი** | 13 | 3 | 2 | 8 | 19-35 | 11 |
| **კრწანისი** | 13 | 3 | 2 | 8 | 13-28 | 11 |
| **მერანი3** | 13 | 3 | 1 | 9 | 12-34 | 10 |
| **დინ.3 (თბ)** | 13 | 2 | 4 | 7 | 15-22 | 10 |
| **მრეტები** | 13 | 0 | 3 | 10 | 14-34 | 3 |
| **ჯავახი** | 14 | 0 | 0 | 14 | 9-71 | 0 |

## დასავლეთის ზონა.

### XV ტური

საპოვნელა — სალხინო 4-0
ჩიხურა — ლუკა 3-2
საირმე — მაღაროელი 1-3
სქური — გზები 1-0
კოლხეთი2 — ეგრისი 1-0
მერცხალი — მეტალურგი2 4-1
დინამო (სოხ) — გურია2 2-1
სამეგრელო — სულორი 1-2
დინამო2 (ბთ) — დინამო (ზ) 2-1
ინტერი — ოკრიბა 1-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მერცხალი** | 14 | 12 | 2 | 0 | 36-9 | 38 |
| **სულორი** | 15 | 12 | 0 | 3 | 41-18 | 36 |
| **საპოვნელა** | 15 | 10 | 3 | 2 | 47-16 | 33 |
| **დინამო (ზ)** | 14 | 10 | 2 | 2 | 26-9 | 32 |
| **გურია2** | 15 | 10 | 2 | 3 | 42-13 | 32 |
| **კოლხეთი2** | 15 | 8 | 5 | 2 | 27-12 | 29 |
| **სალხინო** | 15 | 9 | 0 | 6 | 23-22 | 27 |
| **მაღაროელი** | 15 | 8 | 1 | 6 | 32-24 | 25 |
| **ინტერი** | 14 | 7 | 1 | 6 | 19-15 | 22 |
| **მეტალურ.2** | 15 | 6 | 3 | 6 | 21-22 | 21 |
| **საირმე** | 15 | 6 | 2 | 7 | 15-15 | 20 |
| **ეგრისი** | 14 | 6 | 1 | 7 | 21-23 | 19 |
| **სქური** | 14 | 6 | 1 | 7 | 20-27 | 19 |
| **გზები** | 15 | 5 | 1 | 9 | 16-25 | 16 |
| **დინ. (სოხ)** | 15 | 3 | 3 | 9 | 15-30 | 12 |
| **სამეგრელო** | 15 | 3 | 2 | 10 | 20-36 | 11 |
| **დინ.2 (ბთ)** | 15 | 3 | 2 | 10 | 10-27 | 11 |
| **ჩიხურა** | 15 | 3 | 1 | 11 | 13-38 | 10 |
| **ლუკა** | 15 | 3 | 0 | 12 | 14-47 | 9 |
| **ოკრიბა** | 14 | 1 | 0 | 13 | 6-35 | 3 |

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი 19 წლამდელთა ნაკრებებს შორის

UEFA UNDER-19 Championship

### საქართველო – უნგრეთი 1-1

***საქართველო:*** ჭრიკიშვილი, ქუხილავა, ჭელიძე, გუშარაშვილი (იაკობიძე 46), ციმაკურიძე, ფეიქრიშვილი, ლომიძე, ქოქიაშვილი, მოდებაძე (ებანოიძე 60), სამხარაძე, იაშვილი.

***უნგრეთი:*** ვარადა, გაბორი, ვანჩაკი, მესაროში, ჩაბა, ალადი, ჩოპაკი (ხორვატი 46), ჩუიჩკოვიჩი, იუჰაში, გეორგი (კარდოში 46), შაპოვიჩი (იმრე 72).

***გოლები:*** 0-1 მესაროში (7), 1-1 ებანოიძე (75)

***გააფრთხილეს:*** მესაროში, იუჰაში, გუშარაშვილი, მოდებაძე.

***მსაჯი:*** შურბა (ხორვატია)

ქართველებმა მეორე მატჩი გამართეს ინგლისში, უნგრელ თანატოლებთან და თანაბარ ორთაბრძოლაში ფრეს მიაღწიეს. თავდაპირველად მადიარები დაწინაურდნენ. საპასუხო გოლი მეორე ტაიმის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე, შეცვლაზე შემოსულმა ებანოიძემ გაიტანა. ამ მატჩით დაასრულეს ასპარეზობა ქართველმა ჭაბუკებმა შესარჩევ ციკლში.

## გულსუნდა დუნდუა



**ქართულ ფეხბურთს და ლანჩხუთის „გურიას“ დიდი ქომაგი და მეჭირნახულე გარდაეცვალა. გულიან კაცს გულმა უმტყუნა. პარასკევს, ვაი, რომ უკანასკნელად გაიხარა საყვარელი გუნდის წარმატებით.**

**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გულსუნდა დუნდუა დაიბადა 1943 წლის 2 დეკემბერს ლანჩხუთში. დაამთავრა თბილისის მწვრთნელთა სკოლა. წლების მანძილზე მუშაობდა ბავშვთა და ჭაბუკთა საფეხბურთო სკოლებში. 1972 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა ლანჩხუთის „გურიას“. გუნდის ჭირისა და ლხინის ერთ-ერთი უპირველესი გამზიარებელი იყო. უანგაროდ ზრდიდა თაობებს საქართველოს უმშვენიერეს კუთხეში და თავის მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას უშურველად გადასცემდა ახალგაზრდობას. მრავალი ფიქრისა და უძილო ღამეების შედეგი იყო „გურიას“ ალმასვლა საკავშირო ჩემპიონატში. 1986 წელს პირველ ლიგაში და 1987 წელს უმაღლეს ლიგაში.**

**1990 წლიდან, ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის პირველი დღიდან, გუნდთან ერთად, ეროვნული ფეხბურთის განვითარებისა და წინსვლისთვის ილვწოდა. იყო გუნდის უფროსიც და მწვრნელიც. დაფუძნებიდან იყო სფფ-ს აღმასკომის წევრი და გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი.**

**მსუბუქი იყოს გულსუნდა დუნდუასთვის მშობლიური ქართული მიწა. ღვაწლმოსილი პიროვნების სახელი მარად დარჩება მეგობრების, კოლეგების და ახლობლების, ქართული ფეხბურთის თაობათა მეხსიერებაში.**

საქართველოს
ფეხბურთის ფედერაცია,
ფეხბურთის მუშაკთა
პროფკავშირი,
ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი.

### მატჩები, რომლებსაც საიუბილეო თარიღი უსრულდებათ

# ბუენოს-აირესის ის მატჩი... მიხეილ მესხი და... სხვები

**2001 წლის 18 ნოემბერს 40 წელი სრულდება იმ დღიდან, როცა საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა ბუენოს-აირესში ამხანაგურ მატჩში დაამარცხა არგენტინის ნაკრები 2-1.**

მეხსიერებამ ბავშვობისდროინდელი, სკოლის პერიოდის მოგონება წამოატივტივა. 1963 წლის გვიანი შემოდგომა იდგა. კინოთეატრში სხვებთან ერთად მხატვრულ ფილმს ვუყურებდი. ფილმს წინ კინოჟურნალი უსწრებდა; ეს კი, არც თუ იშვიათობა იყო ჩემი ბავშვობის პერიოდის კინოსეანსების ჩვენების დროს. კინოჟურნალები ხშირად სპორტული კადრებით მთავრდებოდა. ასე იყო ამჯერადაც. დიქტორმა რუსულ ენაზე გვაუწყა, რომ გვაჩვენებდნენ ორი წლის წინათ — 1961 წლის 18 ნოემბერს, არგენტინაში, ბუენოს-აირესში, ჩატარებულ საბჭოთა კავშირისა და არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტებს. ეკრანმა „რივერ-პლეიტის“ მაყურებლებით გადაჭედილი სტადიონი წარმოგვიჩინა.

რამდენიმე წამი და მატჩიც დაიწყება. მთელი . სტადიონი გარინდულია. ბუზის გაფრენას გაიგონებდი კინოთეატრშიც.

... ბურთის შეყვანა თამაშში საბჭოთა ფეხბურთელებს ხვდათ წილად. მოედნის ცენტრის ნიშნულთან ვიქტორ პონედელნიკი და ვალენტინ ივანოვი დგანან. მათ ერთმანეთში მოკლე გადაცემები გააკეთეს. ვიქტორმა ბურთი უმალვე შეტევის მარცხენა ფრთაზე გაგზავნა. ოპერატორმა კარგად დაიჭირა მატჩის გაგრძელება:

მარცხენა გარემარბი ბურთიანად ნელნელა დაიძრა თავის ფრთაზე. არგენტინელთა მარჯვენა მცველი ყურადღებით აკვირდება მისკენ მოძრავ ფეხბურთელს, ისე რომ, ადგილიდან არ იძვრის. უცებ თავდამსხმელმა მკვეთრად მოუმატა სიჩქარეს, მცველთან მიახლოებისას წამით მისგან ოდნავ მარცხნივ გადაიხარა — ცრუმოძრაობა გააკეთა. წონასწორობა დაკარგულ მცველს ბურთი მისგან მარჯვენა მხარეს გაუგდო და თვითონაც გაჰყვა. სახტად დარჩენილი მცველი იმავე ადგილზე გაშეშებული დატოვა და თვითონ კარისკენ გაიჭრა. ოპერატორმა ამჯერადაც დიდი პროფესიონალიზმი გამოიჩინა: არგენტინელ მცველზე არანაკლებ გაოგნებული მაყურებლები მოაქცია კადრში. ერთ-ერთმა მათგანმა კი, სასოწარკვეთილი გამომეტყველებით ხელი ჩაიქნია, თითქოს თავისი ჟესტიკულაციით გამოხატა, წასულია ჩვენი საქმე, ამის დამკავებელი ჩვენი მარცვენა მცველი არ არისო.



სლავა მეტრეველი

თამაშის შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ არ შემცდარა არგენტინელი გულშემატკივარი. მატჩი საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მაღალ დონეზე ჩაატარა და ევროპული გუნდებიდან პირველად, თავის მოედანზე 2-1 დაამარცხა არგენტინის ნაკრები. გამარჯვებულთა მარცხენა გარემარბი ლევ იაშინთან, სლავა მეტრეველთან, ვიქტორ პონედელნიკთან ერთად ამ მატჩის გმირად აღიარეს. მარცხენა გარემარბი — ფეხბურთელი № 11 კი შეუდარებელი მიხეილ მესხი გახლდათ.

* * *

სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული და შემდეგ, მე მომეცა საშუალება მესაუბრა ამ მატჩის მონაწილე საბჭოთა კავშირის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელთან, მიხეილ მესხთან, სლავა მეტრეველთან, ვალენტინ ივანოვთან, ვიქტორ პონედელნიკთან, ლეონიდ ოსტროვსკისთან, ანატოლი მასლიონკინთან, ლევ იაშინთან, იგორ ნეტოსთან. მისაუბრია გივი ჩოხელთან, თუმცა იმ დღეს იგი სათადარიგოთა შორის იჯდა და მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. მისაუბრია გავრილ კაჩალინთან — საბჭოთა კავშირის ნაკრების იმდროინდელ უფროს მწვრთნელთან. ყველას აზრი ერთია: ეს მატჩი იყო ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა ნაკრების ისტორიაში.

მოგვიანებით, 80-იანი წლების დასასრულს, მოსკოვში, ჩემმა მეგობარმა, რომლის მეუღლეც საკავშირო ტელერადიო კომიტეტის საარქივო სამსახურში მოღვაწეობდა, მაჩვენა არქივიდან გარკვეული დროით ამოღებული ამ მატჩის ამსახველი ფოტოფირი, დაახლოებით ნახევარსაათიანი მოცულობით. ფირი რამდენიმეჯერ დავაბრუნე და ხელახლა ვნახე (მოგეხსენებათ, გულშემატკივრის ენთუზიაზმი და ცნობისმოყვარეობა). ფირის ნახვისას კიდევ ერთხელ (მერამდენედ) დავრწმუნდი, რომ ეს მატჩი საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მართლაც მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა.

* * *

1970 წლის დეკემბრის ბოლოს, თბილისში, შინ, ბარნოვის ქუჩაზე, დავურეკე მიხეილ მესხს. მანამდე პირადად არ ვიცნობდი. წარვუდგინე ჩემი თავი და შეხვედრა ვთხოვე. დამთანხმდა და შინ მიმიწვია.

რამდენიმე წუთის შემდეგ მეგობართან, შოთა ნადირაძესთან ერთად, მისი სახლის კიბეებს ფეხით ავუყევი. მის კართან ცოტა ხანს შევჩერდით, სული მოვითქვით.

კარი თვითონ მიხეილმა გაგვიღო. მიხეილი იმხანად მარტო ცხოვრობდა.

— ხომ არ დაიღალეთ? — თბილად გვკითხა მან და ბინაში შეგვიპატიჟა.

ოთახში შესვლისას თვალში გვეცა, რომ იტყვიან, აბსოლუტური სიცარიელე. ერთი დაბალი მაგიდა, რამდენიმე სკამი, ორი სავარძელი, კედლები უმოწყალოდ გაშიშვლებული, არსად ბიბლიოთეკა, არსად წიგნი, არსად ჭიქა და თეფში — ერთი სიტყვით, მოწყენილობა, სიჩუმე და უმოძრაობა სუფევდა. მიშამ პატარა მაგიდის ირგვლივ სკამები და სავარძლები მოიტანა. მაგიდაზე მჟავე კიტრი, პური და კონსერვები დააწყო. სადღაც თეფშები და ჭიქებიც მოძებნა. ოცლიტრიანი მინის ჭურჭლით ღვინო კედელთან დადგა, იქიდან კი თიხის სურაში გადმოასხა. ჩემმა მეგობარმა ყოველივე ეს ფოტოზე აღბეჭდა.

ვისაუბრეთ ყველაფერზე... და, რა თქმა უნდა, ფეხბურთზე. მიშა წყნარი ხმით ლაპარაკობდა, დინჯი, გამართული, უჟარგონო ქართულით, წინადადებების წყობაც ლაკონური, ჟღენილი და უწყუნო ჰქონდა; შემდგომში, როცა ჩვენ დავმეგობრდით, და არაერთხელ შევხვდით ერთმანეთს, უფრო და უფრო დავრწმუნდი მისი ხასიათის სიმტკიცეში. ღრმა პუნქტუალობაში, განათლებაში, პოეზიისა და სამშობლოს უდიდეს სიყვარულში.

მე ჩემი ბლოკნოტი მოვიმარჯვე და კითხვები დავუსვი. იგი დაწვრილებით მპასუხობდა, მიხსნიდა, აანალიზებდა, არ მაჩქარებდა, მაძლევდა საშუალებას ყველაფერი ბოლომდე ჩამეწერა. ნელ-ნელა ღვინოსაც მივირთმევდით. კითხვები კი, ნამდვილად ბევრი იყო.

— თბილისის „დინამოში“ და საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩატარებული მატჩებიდან რომელი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

— თბილისის „დინამოში“ ბრაზილიის „ბაიასთან“ წინააღმდეგ, ნაკრებში — ევროპის თასის ნახევარფინალი და ფინალი. ყველა მატჩი 1960 წელს შედგა. მატჩი არგენტინის ნაკრებთან 1961 წლის დასასრულს, ბუენოს-აირესში.

* * *

მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. როგორც ზემოთ ვთქვით, ამ შეხვედრამდე, არგენტინის ნაკრები არც ერთხელ არ დამარცხებულა საკუთარ მინდორზე, არც ერთ ევროპულ გუნდთან. ადგილობრივი გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზია საფუძვლიანად აშუქებდნენ მატჩისწინა პერიპეტიებს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ არგენტინელთა წამყვანი ფეხბურთელები სან-ფილიპო, რატინი, ვიდალი, სიმეონე, გაზეთის ფურცლებზე გამოვიდნენ და მოსალოდნელი ანგარიშიც კი დაასახელეს, 4-0, 3-0, 4-1 — თავიანთი გუნდის სასარგებლოდ. მშრალ ანგარიშს უფრო მცველები „გეგმავდნენ“, ვინაიდან შეურაცხყოფად მიაჩნდათ მათი გუნდის კარში ერთი ბურთის გატანაც კი.

***ვიქტორ პონედელნიკი:*** „რივერ პლეიტის“ 110 ათას კაციანი სტადიონი, მოედანზე გუნდების გამოსვლას წარმოუდგენელი ხმაურით, ყვირილით, ათასფერადი რაკეტებისა და ბურთების გასროლით შეხვდა. ბიჭებს გავხედე. არც ერთის სახეზე და მოქმედებაში ნერვიულობა და დაძაბულობა არ იგრძნობოდა. დინჯად განვლაგდით მოედნის ცენტრალურ წრესთან. მივესალმეთ ფეხბურთელებსა და მაყურებლებს. ჩვენი კაპიტანი იგორ ნეტო არგენტინელთა გუნდის კაპიტნისა და მსაჯებისაკენ გაემართა“.

... ამ რამდენიმე დღის წინათ, ამ სტატიაზე მუშაობის დროს, მოსკოვში, კიდევ ერთხელ დავურეკე ვიქტორ პონედელნიკს და ვკითხე, ახსოვდა თუ არა მას საბჭოთა კავშირის ნაკრების მაშინდელი შემადგენლობა. იქ, შორეულ მოსკოვში, სატელეფონო სადენის მეორე მხარეს, ვიქტორმა გაიკვირვა, გაიცინა და მიპასუხა:

— განა შეიძლება კაცმა საკუთარი სახელი და გვარი დაივიწყოს?

... და მან მომენტალურად, უშეცდომოდ დაასახელა იმ 12 ფეხბურთელის სახელი და გვარი, ვინც ამ მატჩში მიიღო მონაწილეობა: ლევ იაშინი (ვლადიმერ მასლაჩენკო), ედუარდ დუბინსკი, ანატოლი მასლიონკინი, ლეონიდ ოსტროვსკი, ვალერი ვორონინი, იგორ ნეტო, სლავა მეტრეველი, ვალენტინ ივანოვი, ვიქტორ პონედელნიკი, გენადი გუსაროვი, მიხეილ მესხი.

***მიხეილ მესხი:*** „მატჩის დასაწყისშივე პონედელნიკმა ბურთი ჩემსკენ გადმოამისამართა. მე სიმეონესაკენ დავიძარი, ცრუ მოძრაობით იგი უკან ჩამოვიტოვე და ბურთი არგენტინელთა საჯარიმო მოედანზე ჩავაწოდე. მცველებმა შეტევა დიდი გაჭირვებით მოიგერიეს.



მიხეილ მესხი

ამის შემდეგ, არგენტინელებმა 10-15 წუთის განმავლობაში ჩვენს კართან ენით აუწერელი შტურმი მოაწყვეს. ყოველ წუთს ბეწვზე ეკიდა ჩვენი ბედი, მაგრამ მცველებმა და იაშინმა გაუძლეს. შემდეგ თამაში თანდათან გათანაბრდა...

***ვიქტორ პონედელნიკი:*** „განსაკუთრებულად ძლიერი და შემართული იყო იმ დღეს მიშა მესხი. მას ყველაფერი გამოსდიოდა — ფინტები, ცრუმოძრაობები, სწრაფი გასვლები. სწორედ მიშამ გააკეთა 24-ე წუთზე გათვლილი და გაზომილი გადაცემა და მე არც თუ ძლიერი დარტყმით ბურთი არგენტინელთა კარის ბადეში მოვათავსე“.

***გავრილ კაჩალინი:*** „მატჩი დაიწყო არგენტინელთა შეტევებით, მაგრამ მალე ჩვენ მოვიპოვეთ უპირატესობა. ბრწყინვალედ თამაშობდნენ მეტრეველი და მესხი. ვხედავდი, რომ ისინი ძალიან მოეწონათ არგენტინელ მაყურებლებს. როცა მესხი და მეტრეველი ბურთს მიიღებდნენ, ტრიბუნებზე გამაყრუებელი, გამამხნევებელი გუგუნი იწყებოდა. აი, 26-ე წუთზე სლავა გაექცა თავის მეურვეს და საჯარიმო მოედნის ცენტრში ჩააწოდა. ვიქტორ პონედელნიკმა, კარისკენ ზურგით მდგომმა, ტექნიკურად ლამაზად შეასრულა დარტყმა „პირუკუ“, გადმოტრიალებით და ანგარიში გახდა 2-0. ამის შემდეგ, ჩვენ განუწყვეტლივ ვუტევდით. სიამაყეს მგვრის იმის გახსენება, რომ იმ დღეს ჩვენ არგენტინელებს ნამდვილად მაღალი კლასის ფეხბურთი ვუჩვენეთ“.

***სლავა მეტრეველი:*** „როცა მატჩი დამთავრდა, მე მინდორზე გადმოცვენილი მაყურებლები შემომეხვივნენ და მაისურზე მეცნენ. მაისური დაიხა. არგენტინაში თურმე ასეთი ჩვევა მიღებული ყოფილა, მე კი ძალიან შევშინდი. მალე ჩემთან პოლიციელი მოვიდა და აღფრთოვანებული მაყურებელი დააშოშინა. მე კი ხელკავი გამიკეთა და გასახდელისკენ წამიყვანა. „სამშვიდობოს“ მისულმა, თარჯიმნის საშუალებით, მაისური მთხოვა. მე გავიძრე და გადავეცი. ჩემი აზრით, ეს იყო ჩვენი ნაკრების მიერ ჩატარებული ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი“.

***ვიქტორ პონედელნიკი:*** „მატჩი დამთავრდა ჩვენი გამარჯვებით 2-1. ერთადერთი ბურთი არგენტინელებმა ჩვენს კარში გაიტანეს 89-ე წუთზე ვლადიმერ მასლაჩენკოს შეცდომის შედეგად. მან 85-ე წუთზე ტრავმირებული ლევ იაშინი შეცვალა. შეხვედრის დამთავრებისთანავე მაყურებლები მინდორზე გადმოცვივდნენ და ჩვენს ფეხბურთელებს ეცნენ. ყველამ ვერ მოასწრო გაქცევა. ვორონინს, მესხს, მეტრეველს, მაყურებლებმა მაისურები ტანზე შემოაძარცვეს, ზოგიერთი ჩვენი ფეხბურთელი პოლიციელის თანხლებით ჩავიდა გასახდელში, თუმცა იქ ჩაცილებამდე მათ ღიმილით გააძვრეს მაისურები ნეტოს, გუსაროვს, მასლიონკინს. გულშემატკივარი ყოველთვის რჩება გულშემატკივრად, მაშინაც კი, როცა ის პოლიციის ფორმაშია. სახლში ვინახავ ფოტოსურათს, სადაც მე ვარ გამცილებელ პოლიციელთა გარემოცვაში. ფოტოსურათს ასეთი წარწერა აქვს. „ჩვენმა პოლიციამ, როგორც ყოველთვის, დაიგვიანა. ვიქტორ პონედელნიკი თამაშამდე უნდა „დაგვეპატიმრებინა“, მაშინ ჩვენ გავიმარჯვებდით“.

***მიხეილ მესხი:*** „ის მატჩი ჩვენმა ნაკრებმა შეუდარებელ სტილში ჩაატარა. ყველა ფეხბურთელმა მონდომებით და თავდაუზოგავად იბრძოლა. მაგრამ, მაინც, ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ ის თამაში სლავამ, ლევ იაშინმა, ვიქტორ პონედელნიკმა და მე მოვიგეთ. ლევ იაშინმა შეხვედრის განმავლობაში რამდენიმე უძნელესი ბურთი აიღო. მატჩის დასაწყისში კი მან წარმოუდგენელი, ფანტასტიკური ნახტომით მოიგერია სან-ფილიპოს მიერ 10-12 მეტრიდან „ცხრიანში“ დარტყმული ბურთი. ვიქტორ პონედელნიკმა ორი ბურთი გაიტანა, ორივე მაღალოსტატურად. ამას გარდა, უამრავი საგოლე მომენტები შექმნა. მე და სლავამ კი, სული ამოვხადეთ სიმეონესა და ვიდალს. რამდენჯერ არ შეხვდნენ სლავა და ვიდალი, იმდენჯერ სლავა გაექცა. სიმეონეც ვერაფერს გახდა ჩემთან. ვერც სისწრაფეში ამილო ალღო, ვერც ცრუ მოძრაობებში გაერკვა. ხოლო, როცა „ჩემი ფინტი“ გავუკეთე, ჯერ ორიენტაცია დაკარგა, მერე წონასწორობა და მინდორზე ჩაიმუხლა. მეორე დღეს პრესამ და ტელევიზიამ ძირფესვიანად გააშუქეს მატჩის მომენტები. უხვად გამოაქვეყნეს თამაშის ამსახველი ფოტოები. ნამდვილად დიდი ფეხბურთი ვითამაშეთ — დაასკვნა მიხეილ მესხმა.

* * *

40 წელი გავიდა იმ დღიდან, დღეისათვის იმ თორმეტი ფეხბურთელიდან რვა ცოცხალი აღარაა: ლევ იაშინი, ედუარდ დუბინსკი, ანატოლი მასლიონკინი, ლეონიდ ოსტროვსკი, ვალერი ვორონინი, იგორ ნეტო, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი. აღარაა ჩვენს შორის დიდებული მწვრთნელი გავრილ კაჩალინი. ხოლო ვლადიმერ მასლაჩენკო, ვალენტინ ივანოვი, გენადი გუსაროვი, ვიქტორ პონედელნიკი მოსკოვში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ.

თავის დროზე თორმეტივე დიდი ფეხბურთელი იყო. მათ თაობებს დიდი მატჩები შემოუნახავს. მათ შორის ერთ-ერთია მატჩი არგენტინა — სსრკ, ბუენოს აირესი „რივერ-პლეიტის“ სტადიონი, 1961 წლის 18 ნოემბერი.

**ნუგზარ მჭედლიშვილი**

ბიბლიოთეკა

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN


ავსტრია — თურქეთი


სლოვენია — რუმინეთი

# ევროპა

## პლეი – ოფი (1-ლი მატჩები)

### უკრაინა — გერმანია 1–1

**უკრაინა:** ლევიცკი, ლუჟნი, ნესმაჩნი, გუსინი, გოლოვკო, ვაშჩუკი, ტიმოშჩუკი (პარფიონოვი 72), ვორობეი (მელაშჩენკო 76), ზუბოვი, შევჩენკო, რებროვი (შიშენკოვი 55).
**გერმანია:** კანი, რემერი, ციგე, ლინკე, ნოვოტნი, რამელოვი, შნაიდერი (რიკენი 79), ბალაკი, ასამოა, ჰამანი, ციკლერი (იანკერი 68).
***გოლები:*** 1-0 ზუბოვი (19), 1-1 ბალაკი (32).

შეხვედრის პირველმა ათმა წუთმა ჩაიარა უკრაინელთა უპირატესობით. მე-2 წუთზე ვორობეი გადის პირისპირ კანთან, მაგრამ მისი დარტყმული ხვდება კარის ძელს, მე-6 წუთზე რებროვი იჭრება საჯარიმოში, თუმცა ურტყამს არაზუსტად. შეხვედრის მე-19 წუთზე გერმანელთა კარისკენ ინიშნება ჯარიმა, შევჩენკოს მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა კედელს და მიუგორდა ზუბოვს, რომლის რეაგირება ზუსტი იყო 1-0 — წინ გადის უკრაინის ნაკრები. გაშვებული გოლის შემდეგ, გერმანელებმა საგრძნობლად მოუმატეს და 26-ე წუთზე დინკეს მიერ კარში თავით გაგზავნილი ბურთი ხვდება კარის ძელს, ხოლო რემერის მიერ დარტყმული კარის ხაზიდან გამოიტანა ზუბოვმა. გოლი მწიფდებოდა, შეხვედრის 32-ე წუთზე ბალაკი ათანაბრებს ანგარიშს. მეორე ნახევარში შედეგი არ შეცვლილა, საბოლოოდ ფრე 1-1. ახლა ყველაფერი გადაწყდება 14 ნოემბერს, დორტმუნდში, სადაც გერმანელებს ნულოვანი ფრეც აძლევს ხელს.

### სლოვენია — რუმინეთი 2–1

**სლოვენია:** სიმეუნოვიჩი, მილინოვიჩი, ვუგდალიჩი, გალიჩი, კარიჩი (ნ. ჩეჰი 40), ნოვაკი, ა. ჩეჰი, პავლინი, აჩიმოვიჩი (პავლოვიჩი 66), ოსტერცი, რუდონია.
**რუმინეთი:** სტელია, კონტრა, მიუ (პანჩუ 90), იენჩი, ჩივუ, პოპესკუ, საბეუ (გიოანე 84), მუნტიანუ, მუტუ, ნიკულაე, ა. ილიე (როზუ 84)
***გოლები:*** 0-1 ნიკულაე (26), 1-1 აჩიმოვიჩი (42), 2-1 ოსტერცი (70).

მილან ოსტერცის შესანიშნავი დარტყმის შემდეგ, სლოვენიის ნაკრებმა მოიპოვა მეტად ძნელი გამარჯვება ამ შეხვედრაში. დასაწყისი მიმდინარეობდა რუმინელთა უპირატესობით, უკვე მე-5 წუთზე ილიე გადის პირისპირ, მაგრამ მისი დარტყმა უზუსტოა, მე-18 წუთზე მუნტიანუს საჯარიმო სულ მცირე მანძილით სცდება კარს, ხოლო 26-ე წუთზე კონტრას პასით ნიკულაე ხსნის ანგარიშს. 42-ე წუთზე მინდორზე შემოსული ნ. ჩეჰის გადაცემით, აჩიმოვიჩი ათანაბრებს ანგარიშს. მეორე ნახევრის 69-ე წუთზე კონტრას შეტევა ფანტასტიკური ნახტომით მოიგერია სიმეუნოვიჩმა, ხოლო სულ ერთი წუთის შემდეგ, ოსტერცის დარტყმა, დაახლოებით 18 მეტრიდან, აღწევს მიზანს, საბოლოოდ 2-1 სლოვენიელთა სასარგებლოდ.

### ბელგია — ჩეხეთი 1–0

**ბელგია:** დე ვლიგერი, დეფლიანდერი, კლემენტი, ვან მეირი (დე ბუკი 46), ვან კერკჰოვენი, სიმონსი, ვერმანტი, გოორი, სონკი (ვან ჰუდტი 79), ვალემი, ვერჰეიენი.
**ჩეხეთი:** სრნიჩეკი, რეპკა, ნოვოტნი, ნედვედი, გრიგერა (უიფალუსი 32), იანკულოვსკი, შმიცერი (ჰეიბშმანი 46), პობორსკი, გაშეკი, იაროსიკი, ბაროში (ლოკვენცი 66).
***გოლი:*** ვერჰეიენი (29)

ამ შეხვედრაში ერთადერთი გოლი გატანილია შეხვედრის 29-ე წუთზე „ბრიუგეს" ნახევარმცველის გერტ ვერჰეიენის მიერ. ჩეხეთის ნაკრები, რომელსაც დისკვალიფიკაციის გამო აკლდა კოლერი და როსიცკი, შეხვედრის 41-ე წუთიდან ათი ფეხბურთელით თამაშობდა, მას შემდეგ, რაც შვეიცარიელმა მსაჯმა ურს მაიერმა გააძევა რეპკა მოედნიდან. მეორე ნახევარში ჩეხები უფრო თავს იცავდნენ, ხოლო ბელგიელები უშედეგოდ უტევდნენ. საბოლოოდ 1-0 ბელგიელთა სასარგებლოდ.


ირლანდია — ირანი

### ავსტრია — თურქეთი 0–1

**ავსტრია:** ვოლფარტი, ფოგელი, ვუკოვიჩი, ვინკლჰოფერი, ბაუერი, შოპი (ლეხა 53), შტრაფნერი, ჰიდენი (ციტცბიშლერი 72), ვალნერი (ვაისენბერგერი 62), ჰერცოგი, ჰაასი.
**თურქეთი:** რუშთუ, უმით დავალა, ერქანი, უმით ოზატი, ალფაი, ემრე ასიკი, ოქანი (ტაიფური 88), ტუგაი, ჰაქან შუქური, ბასტურქი (ფატიჰი 70), ერგიუნი (არიფი 62).
***გოლი:*** ოქანი (60).

თურქეთის ნაკრები 1954 წლის შემდეგ არ მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაში და ახლა ამის ჩინებული შანსი აქვს. მთელი შეხვედრის მანძილზე თურქეთის ნაკრები დომინირებდა, ამ მატჩის ერთადერთი გოლი კი გატანილია შეხვედრის მე-60 წუთზე, მას შემდეგ, რაც ოქანმა შანსი არ დაუტოვა ავსტრიელთა მეკარეს.

### ირლანდია — ირანი 2–0

**ირლანდია:** გივენი, ფინანი, ბრინი, სტონტონი (კანინგემი 75), ჰარტი, მაკატირი (კელი 84), ჰოლანდი, როი კინი, კილბეინი, რობი კინი, ქვინი.
**ირანი:** მირზაპური, დინმოჰამადი, პეიროვანი, ჰაშემინასაბი, ქარიმი, ბაგერი, მინავანდი, მაჰდავიკია, კავიანპური, ვაჰედინიკ ბახტი (ჰაზირავი 46), დაეი.
***გოლები:*** ჰარტი (45 პენ), რობი კინი (50)

ირლანდიელებმა სავსებით დამსახურებულად მოიპოვეს გამარჯვება „ლიდსის" მოთამაშეების ჰარტისა და რობი კინის გოლების წყალობით. პირველი ნახევრის უკანასკნელ წუთზე, მაკატირის წაქცევისთვის დანიშნული 11-მეტრიანი საჯარიმო გამოიყენა ჰარტმა, ხოლო მეორე ნახევრის დასაწყისში რობი კინი ზრდის ანგარიშს.


უკრაინა — გერმანია

# თასები

### იტალია

1/8 ფინალი. პირველი მატჩები

ბოლონია — ატალანტა 2-2
პიაჩენცა — რომა 2-1
კომო — ბრეშა 1-0
მესინა — პარმა 0-2
ლაციო — სიენა 2-1
სამპდორია — იუვენტუსი 1-2

### პოლონეთი

1/8 ფინალი

რადომსკო — ლეგია 1-2 (დ.დ.)
ვისლა — სტომილი 6-1
ამიცა — ოდრა 3-2
გურნიკი — რუხი 0-1
პლოცკი — ვიძევი 3-2

## ევროპის ჩემპიონატი (21 წლამდე)

21 UEFA UNDER-21 Championship

### 1/8 ფინალის პირველი მატჩები

საბერძნეთი — თურქეთი 3-0
შვედეთი — ბელგია 3-2
ჰოლანდია — ინგლისი 2-2
რუმინეთი — საფრანგეთი 0-1
პოლონეთი — იტალია 2-5
ხორვატია — ჩეხეთი 1-1
ესპანეთი — პორტუგალია 2-1
უკრაინა — შვეიცარია 1-2.

# კონკაკაფი


ტრინიდადი და ტობაგო — აშშ

მექსიკა — ჰონდურასი 3-0
ტრინიდადი და ტობაგო — აშშ 0-0
იამაიკა — კოსტა რიკა 0-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **კოსტა რიკა** | **10** | **7** | **2** | **1** | **17-7** | **23** |
| **მექსიკა** | **10** | **5** | **2** | **3** | **16-9** | **17** |
| **აშშ** | **10** | **5** | **2** | **3** | **11-8** | **17** |
| ჰონდურასი | 10 | 4 | 2 | 4 | 17-17 | 14 |
| იამაიკა | 10 | 2 | 2 | 6 | 7-14 | 8 |
| ტრინიდადი და ტობაგო | 10 | 1 | 2 | 7 | 5-18 | 5 |

ამრიგად, ***მექსიკის*** ნაკრები გახდა რიგით 25-ე ქვეყანა, რომელმაც მოიპოვა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება, მანამდე ეს უფლება მოიპოვეს: ***კორეა*** და ***იაპონია*** (როგორც მასპინძლები), ***საფრანგეთი*** (მსოფლიოს ჩემპიონი), ***კამერუნი, ნიგერია, ტუნისი, სენეგალი, სამ. აფრიკა*** (აფრიკის ზონიდან), ***კოსტა რიკა, აშშ*** (კონკაკაფის ზონიდან), ***ჩინეთი, საუ. არაბეთი*** (აზიის ზონიდან), ***არგენტინა, პარაგვაი, ეკვადორი*** (სამხრეთ ამერიკის ზონიდან), ***რუსეთი, პორტუგალია, დანია, შვედეთი, პოლონეთი, ხორვატია, ესპანეთი, იტალია, ინგლისი*** (ევროპის ზონიდან).


მექსიკა — ჰონდურასი

## გაზაევი — ცსკა-ში



მოსკოვის „ცსკა"-ს მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ვალერი გაზაევი, რომელიც ბოლოს რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად მუშაობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ახალი ამბები

## ამხანაგური მატჩები



**ინგლისი – შვედეთი 1–1**

**ინგლისი:** მარტინი, გ. ნევილი (მილსი 58), საუთგეიტი, ფერდინანდი, კარაგერი (ფ. ნევილი 86), ბატი (მერფი 58), ბექჰემი, სქოულზი (ლამპარდი 86), სინკლერი (ფაულერი 58), ჰესკი (შერინგემი 58), ფილიპსი (ანდერტონი 58).

**შვედეთი:** ჰედმანი (კილშტედტი 46), კ. ანდერსონი, მიქ. სვენსონი, მიალბი (იაკობსონი 62), ედმანი, ლინდერტონი (დ. ანდერსონი 46), ალექსანდერსონი (სოდესტრიომი 84), მილდი, სვენსონი (ა. სვენსონი 46), ოლბაკი, იბრაჰიმოვიჩი (ოსმანოვსკი 74)

***გოლები:*** 1-0 ბექჰემი (28 პენ), 1-1 მილდი (44).



**ავსტრალია – საფრანგეთი 1–1**

**ავსტრალია:** შვარცერი, მუსკატი, მური, ოკონი, ვიდმარი, მერფი, ლაზარიდისი (ალოიზი 59), სკოკო (ბრეშიანო 73), ემერტონი, ვიდუკა, კიუელი.

**საფრანგეთი:** ბარტეზი, კანდელა, დესაი (სილვესტრი 82), ლებეფი, ვიეირა, ზიდანი (ბოგოსიანი 79), პირესი, კარამბე, მაკელელე (კარიერი 66), ტრეზეგე (ანელკა 66), დიუგარი (ვილტორდი 57)

***გოლები:*** 1-0 მური (44), 1-1 ტრეზეგე (49).

**დანია – ჰოლანდია 1–1**

**დანია:** სორენსენი, მიკაელსენი, ჰენრიქსენი, ლუსტუ, ჰაინცე, პოულსენი, გრავესენი (ნიენსენი 46), რომედალი (კ. იენსენი 46), დალ ტომასონი (რიტერი 70), იორგენსენი, სანდი (მადსენი 46).

**ჰოლანდია:** მოენსი, რაიციგერი, სტამი (ზეედორფი 63), ფრანკ დე ბერი (მელხიოტი 46), ვან ბრონკჰორსტი, (ზენდენი 63), ბიატენგი, რონალდ დე ბერი, დავიდსი, მაკო (ვან ნისტელრო 76), კლიუვერტი (ლანდზაატი 46), ჰასელბანკი.

***გოლები:*** 0-1 ჰასელბანკი (45 პენ), 1-1 იორგენსენი (83 პენ).



* * *

საბერძნეთი — ესტონეთი 4-2

სამ. აფრიკა — ეგვიპტე 1-0

სამ. კორეა — ხორვატია 2-0.

# ლეგენდარული კაპიტნები



*პლატინი*

**„რჩეულნი რჩეულთა შორის" – ამ რუბრიკით ინტერნეტმა საიტით „სპორტკლუბი", გაავრცელა მასალები ლეგენდარულ საფეხბურთო კაპიტნებზე: ფრანც ბეკენბაუერზე, მიშელ პლატინზე, ბობი ჩარლტონზე, იგორ ნეტოზე, ვიქტორ კოლოტოვზე და ალექსანდრე ჩივაძეზე. „ლელოს" წინა ნომერში ფრანც ბეკენბაუერზე გიამბეთ. დღეს კი მიშელ პლატინის წარმოგიდგენთ.**

*1984 წელი. საფრანგეთის ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. ნაკრების კაპიტანი მიშელ პლატინი ევროპის თასით.*



მიშელ პლატინი დაიბადა 1955 წლის 21 ივნისს, ქალაქ ჟეფში (საფრანგეთი). ამპლუა: თავდამსხმელი. „იუვენტუსის" კაპიტანი 1983 წლიდან.

პლატინის საფეხბურთო კარიერა უმაღლეს დონეზე დაიწყო საფრანგეთის კლუბ „ნანსში". 1974-75 წლების სეზონი აღინიშნა საფეხბურთო ოლიმპზე პლატინის აღზევებით — გაიტანა 17 გოლი, ორი წლის შემდეგ კი თავისი შედეგი გააუმჯობესა. მიღწევა აიყვანა 25 გოლამდე. 1979 წელს იგი „სენტ-ეტიენის" შემადგენლობაში გამოჩნდა, სადაც სამი სეზონი გაატარა და 60 გოლი გაიტანა (იმ პერიოდში ეს კლუბი საუკეთესო იყო საფრანგეთში). „სენტ-ეტიენის" შემადგენლობაში გახდა საფრანგეთის ჩემპიონი 1981 წელს.

1982 წელს ნიჭიერი ფეხბურთელი გადადის იტალიის „იუვენტუსში". მრავალი საფეხბურთო სპეციალისტი ამ კლუბში მას უწინასწარმეტყველებდა ბრწყინვალე კარიერას. ხმაურიანმა იტალიელმა ტიფოზებმა კლუბში პირველი თამაშიდანვე შეიყვარეს ახალბედა: მიშელი იყო უჩვეულოდ თავდადებული მინდორზე და ახასიათებდა იუმორის გრძნობა. 1983-84 წლების სეზონში „იუვეს" შემადგენლობაში პლატინის გააქვს 20 გოლი და დიდად დაეხმარა თავის კლუბს გამხდარიყო იტალიის ჩემპიონი. ის ითვლებოდა კლუბის ღირსეულ და უმაღლესი ავტორიტეტის კაპიტნად და მის აზრს ისმენდნენ ყველაზე ამბიციური მოთამაშეები, მწვრთნელები კი თავიანთ მთავარ მრჩევლად მიიჩნევდნენ. გულშემატკივართა მხრიდან მისდამი უსაზღვრო სიყვარულს კი ადასტურებს თუნდაც ის, რომ იგი დაასახელეს „იუვენტუსის" XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელად. თავად პლატინიმ ამ ფაქტს ასეთი კომენტარი გაუკეთა: „სიმართლე გითხრათ, ცოტა არ იყოს, გამაოცა ამ ტიტულის მონიჭებამ, მე ხომ ფრანგი ვარ!" პლატინი ითვლებოდა საჯარიმოების შესრულების მეფედ. ერთი მათგანი „ოქროს" გოლად იქცა საფრანგეთის ნაკრებისთვის 1984 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში.

## „ბავარია" პლანეტის ყველაზე ძვირადღირებული კლუბია

მიუნხენის „ბავარიის საქონელბრუნვამ წლეულს სარეკორდო ნიშნულს — 362 მილიონ მარკას (165 მილ. დოლარი) მიაღწია. ამის თაობაზე, გუშინ, სიამაყით განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა კარლ-ხაინც რუმენიგემ. „ჩვენ ახალ ერაში შევდივართ" — დასძინა მან.

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, რომლის საქონელბრუნვა შარშან 283 მილიონი მარკა იყო, პლანეტის ყველაზე ძვირადღირებული კლუბი გახდა მას შემდეგ, რაც გერმანულმა გიგანტმა „ადიდასმა" გამოთქვა სურვილი შეესყიდა კლუბის აქციების 10 პროცენტი. ამ გარიგებამ კლუბის თვითღირებულება აიყვანა 750 მილიონ ევრომდე და გერმანელებს მისცა შესაძლებლობა გადაესწრო თავისი მუდმივი მეტოქისთვის ჩემპიონთა ლიგაში — „მანჩესტერ იუნაიტედისთვის".

## გაუშვით ფერგიუსონი, მოუწოდებენ „მანჩესტერ იუნაიტედს"

„ლაციოს" სპორტულმა დირექტორმა მასიმო კრანიოტიმ ურჩია „მანჩესტერ იუნაიტედს", რაც შეიძლება მალე დაითხოვონ კლუბიდან მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი, თორემ შეიძლება განმეორდეს ის შეცდომა, რაც შარშან დაუშვა „ლაციომ". ლაპარაკია ერიკსონთან „ლაციოს" დაგვიანებულ განშორებაზე, რამაც ეს კლუბი სერიოზულ კრიზისამდე მიიყვანა.

## კანი შევჩენკოს წინააღმდეგ

„ბავარიის" და გერმანიის მეკარე ოლივერ კანი უკრაინელებთან მატჩის შემდეგ უკმაყოფილო დარჩა პრესის მიერ ანდრეი შევჩენკოს გადამეტებული ქებით. „ის ცამდე აიყვანეს, მაგრამ ანდრეი, უბრალოდ კარგი ფორვარდია, რომლის ჩაკეტვა ჩვენ შევძელით" - თქვა კანმა. „სტუმრად მიღწეული ფრე, წინ გადადგმული ნაბიჯია. ახლა ჩვენ უნდა მოვიგოთ 2-0 ან 3-0" - დასძენს იგი.

## 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე შეიძლება შეიქმნას ანტიტერორისტული კომიტეტი

სეულმა წინადადება მისცა იაპონიას, გაისად, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის დღეებში შექმნას ანტიტერორისტული კომიტეტი, კორეის ჩათვლით, რადგან ეს ორი ქვეყანა ერთობლდივად უმასპინძლებს ჩემპიონატს. გარდა ტერორისტებისა, საფრთხეა მოსალოდნელი საფეხბურთო ხულიგნებისგანაც. ახლა მუშავდება კანონპროექტები, რომლის ძალითაც ადრე უწესრიგობაში შემჩნეულ ფეხბურთის გულშემატკივრებს ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყნებში არ შეუშვებენ.

## პეტერბურგის ფედერაციამ 100 წლისთავი იზეიმა

დაარსებიდან 100 წლისთავი საზეიმოდ აღნიშნა პეტერბურგის ფეხბურთის ფედერაციამ. 1915 წელს ნევისპირელები რუსეთის ჩემპიონები გახდნენ. 1942 წელს „დინამოს" სტადიონზე ითამაშეს ცნობილი ბლოკადის მატჩი. 1944 წელს „ზენიტი" გახდა სსრ კავშირის თასის მფლობელი, ხოლო 1980 წელს მესამე პრიზიორი იყო, 1984 წელს – ჩემპიონი. რუსეთის ახალ ისტორიაში, „ზენიტმა" რუსეთის თასი, წლეულს კი ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

### შოტლანდია

აბერდინი — მოზერუელი 1-0

დანდი იუნ. — დანფერმლაინი 0-2

ჰართსი — დანდი 2-0

კილმარნოკი — სტ. ჯონსტონი 0-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სელტიკი** | 13 | 12 | 1 | 0 | 31-5 | 37 |
| **რეინჯერსი** | 13 | 9 | 3 | 1 | 31-9 | 30 |
| **ლივინგსტ.** | 13 | 6 | 5 | 2 | 19-11 | 23 |
| **აბერდინი** | 14 | 7 | 2 | 5 | 22-21 | 23 |
| **ჰიბერნიანი** | 13 | 5 | 3 | 5 | 24-19 | 18 |
| **დანდი** | 14 | 5 | 3 | 6 | 15-23 | 18 |
| **ჰართსი** | 14 | 5 | 1 | 8 | 18-20 | 16 |
| **დანდი იუნ.** | 14 | 4 | 4 | 6 | 16-27 | 16 |
| **კილმარნოკი** | 14 | 4 | 3 | 7 | 13-19 | 15 |
| **დანფერმლ.** | 14 | 5 | 0 | 9 | 20-27 | 15 |
| **მოზერუელი** | 14 | 3 | 4 | 7 | 16-26 | 13 |
| **სტ. ჯონსტ.** | 14 | 1 | 3 | 10 | 10-28 | 6 |

### ესპანეთი

სევილია — ბეტისი 0-0

ალავესი — ესპანიოლი 2-1

სელტა — ბილბაო 2-3

ვილიარეალი — ლას პალმასი 2-0

ბარსელონა — ვალიადოლიდი 4-0

რაიო — მალაგა 3-0

ოსასუნა — ვალენსია 0-0

სარაგოსა — რეალი 2-1

ტენერიფე — დეპორტივო 3-1

სოსიედადი — მალიორკა 1-2



*სევილია – ბეტისი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დეპორტივო** | 12 | 7 | 2 | 3 | 24-15 | 23 |
| **ბარსელონა** | 12 | 6 | 4 | 2 | 21-9 | 22 |
| **ვალენსია** | 12 | 5 | 7 | 0 | 14-8 | 22 |
| **ადავესი** | 12 | 6 | 3 | 3 | 14-8 | 21 |
| **ბილბაო** | 12 | 5 | 4 | 3 | 17-17 | 19 |
| **სელტა** | 12 | 4 | 6 | 2 | 22-15 | 18 |
| **ბეტისი** | 12 | 5 | 3 | 4 | 13-12 | 18 |
| **სევილია** | 12 | 4 | 5 | 3 | 18-15 | 17 |
| **ვილიარეალი** | 12 | 5 | 2 | 5 | 14-12 | 17 |
| **სარაგოსა** | 12 | 5 | 2 | 5 | 12-14 | 17 |
| **რეალი** | 12 | 4 | 4 | 4 | 20-16 | 16 |
| **ოსასუნა** | 12 | 4 | 3 | 5 | 10-16 | 15 |
| **ვალიადოლ.** | 12 | 4 | 3 | 5 | 13-20 | 15 |
| **ლას პალმასი** | 12 | 4 | 2 | 6 | 14-12 | 14 |
| **ესპანიოლი** | 12 | 4 | 2 | 6 | 15-20 | 14 |
| **მალიორკა** | 12 | 4 | 2 | 6 | 10-17 | 14 |
| **მალაგა** | 12 | 3 | 4 | 5 | 14-18 | 13 |
| **ტენერიფე** | 12 | 4 | 1 | 7 | 10-16 | 13 |
| **სოსიედადი** | 12 | 3 | 2 | 7 | 13-20 | 11 |
| **რაიო** | 12 | 3 | 1 | 8 | 14-21 | 10 |

## იუმორი



**მამაკაცის** ცხოვრებაში არის პერიოდები, როცა ისინი აბსოლუტურად გულგრილები არიან ქალებისადმი. ესაა პირველი, მეორე და მესამე პერიოდი... ჰოკეიში.

* * *

**თავდასხმაში** მოთამაშე ფეხბურთელი მსაჯს მინდორზე ეკითხება:

— რა ჰქვია თქვენს ძაღლს?

— არავითარი ძაღლი მე არ მყავს!

— როგორ, ბრმა და ძაღლის გარეშე?



* * *

**უროს** მტყორცნელმა სტადიონზე სიდედრი მიიყვანა, რათა თავისი ოსტატობა ეჩვენებინა.

— დღეს ძალიან უნდა მოვინდომო, ჩემი სიდედრი ზის ტრიბუნაზე — ეუბნება მწვრთნელს.

— ტყუილად გაირჯები, სულ ერთია ტრიბუნამდე ვერ ტყორცნი...

# ნბა







***10 ნოემბერი***
ნიუ ჯერსი — კლივლენდი 87-84
კლიპერსი — ფინიქსი 111-102
მაიამი — საკრამენტო 75-90
ნიუ იორკი — გოლდენ სტეიტი 71-90
ინდიანა — პორტლენდი 105-96
ჩიკაგო — შარლოტი 85-89
სან ანტონიო — ატლანტა 110-88
დალასი — ფილადელფია 91-98
მილუოკი — მინესოტა 82-98
იუტა — ტორონტო 96-117

***11 ნოემბერი.*** ვაშინგტონი — სიეტლი 84-99, დეტროიტი — პორტლენდი 98-100, დენვერი — ტორონტო 96:85, ლეიკერსი — ორლანდო 108-95.

## აღმოსავლეთის კონფერენცია

### ატლანტიკის დივიზიონი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 5 | 1 | 83,3 |
| ბოსტონი | 4 | 2 | 66,7 |
| ორლანდო | 3 | 4 | 42,9 |
| მაიამი | 2 | 4 | 33,3 |
| ნიუ იორკი | 2 | 5 | 28,6 |
| ვაშინგტონი | 2 | 5 | 28,6 |
| ფილადელფია | 1 | 5 | 16,7 |

### ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მილუოკი | 4 | 1 | 80,0 |
| ინდიანა | 6 | 2 | 75,0 |
| დეტროიტი | 4 | 2 | 66,7 |
| ტორონტო | 4 | 3 | 57,1 |
| შარლოტი | 3 | 3 | 50,0 |
| ჩიკაგო | 1 | 5 | 16,7 |
| ატლანტა | 1 | 6 | 14,3 |
| კლივლენდი | 1 | 6 | 14,3 |

## დასავლეთის კონფერენცია

### შუა-დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მინესოტა | 6 | 0 | 100,0 |
| დალასი | 5 | 2 | 71,4 |
| ჰიუსტონი | 5 | 2 | 71,4 |
| სან ანტონიო | 5 | 2 | 71,4 |
| დენვერი | 3 | 4 | 42,9 |
| იუტა | 2 | 5 | 28,6 |
| მემფისი | 0 | 6 | 0 |

### პასიფიკის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეიკერსი | 6 | 0 | 100,0 |
| საკრამენტო | 5 | 2 | 71,4 |
| გოლდენ სტეიტი | 4 | 3 | 57,1 |
| პორტლენდი | 4 | 4 | 50,0 |
| კლიპერსი | 3 | 4 | 42,9 |
| ფინიქსი | 3 | 4 | 42,9 |
| სიეტლი | 3 | 5 | 37,5 |

## ლონდონის მარათონსაც გააკონტროლებენ

ლონდონის მარათონის ისტორიაში ჩაატარებენ სპორტსმენთა შემოწმებას სისხლში სინთეტიკური ჰორმონის შემცველობაზე. ყველა მძლეოსანი, რომელთაც სურთ იასპარეზონ ამ პოპულარულ შეჯიბრებაში, გაფრთხილებულია მოსალოდნელ შემოწმებაზე. მარათონი შედგება 2002 წლის 14 აპრილს. უკვე ცნობილია, რომ ამ ასპარეზობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა და ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა 10 კმ-ზე რბენაში, ეთიოპიელმა ხაილე გებრესელასიმ.

## ბარიკელოს გამარჯვება ბრაზილიაში




რუბენის ბარიკელომ წარმატებით იასპარეზა 500 მილზე რბოლაში. რომელიც „ფერარის" პილოტის სამშობლოში, ბრაზილიაში გაიმართა. ასპარეზობაში მონაწილეობდა 300 მრბოლი ენრიკე ბეროლდისა და რიკარდო ზონტის ჩათვლით. ბარიკელომ, რომელიც „ტიკ-ტაკის" სახელით გამოდიოდა ტონი კანანასთან და მარიო ხაბერფელდომთან ერთად, ტრასაზე 6,5 საათი გაატარა და ამ ასპარეზობის სამგზის გამარჯვებული გახდა.

## «მასტერსის» თასი

ავსტრალიაში დაიწყო „მასტერსის" თასის გათამაშება, რომლის საპრიზო ფონდი 3700000 დოლარია. „ჯონ ნიუკომბის" სახელის ჯგუფში გაიმართა ორი შეხვედრა:

ანდრე აგასი (აშშ, 3) — პატრიკ რაფტერი (ავსტრალია, 6) — 6:2, 6:4

ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 2) — სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი, 7) — 3:6, 6:2, 6:3



*სურათზე: აგასი (მარცხნივ) და რაფტერი*

## ოლიმპიური ცეცხლი შეიძლება აშშ-ის კონგრესის შენობასაც აწვიონ

აშშ-ის კონგრესის შენობა შეიძლება შეიტანონ იმ მარშრუტში, რომელიც უნდა გაიაროს სოლტ-ლეიკ-სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გზაზე მიმავალმა ოლიმპიურმა ცეცხლმა. გეგმით ცეცხლი 21 დეკემბერს უნდა იყოს ვაშინგტონში, მაგრამ იმისთვის, რომ იგი კონგრესის შენობაში აღმოჩნდეს, კანონმდებლებმა საგანგებო დადგენილება უნდა მიიღონ. კანონით სასტიკად იკრძალება კაპიტოლიუმის მიდამოებში ყოველგვარი ღია ცეცხლის შეტანა.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**13 ნოემბერი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (22.05), ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (10.45, 21.40), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი: მსოფლიო 2002 წლის ჩემპიონატის გზით (11.30), მექსიკა – ჰონდურასი (13.30), (15.30), (16.00), იამაიკა – კოსტა-რიკა, ტრინიდადი და ტობაგო – აშშ. (18.30), (20.00), (20.30). ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (17.00), ფეხბურთი. პლეი-ოფების სერიის წინ (21.30), სუმო. დიდი საერთაშორისო ტურნირი (23.00), კრივი. საერთაშორისო მატჩი (0.00), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. უეფა (3.15). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა. პირველი ეტაპის საუკეთესო მატჩები: „ბაიერი" – „ბარსელონა" (13.15), „დეპორტივო" – „მანჩესტერ იუნაიტეტი" (15.45), „რეალი" – „ანდერლეხტი" (17.30), „რომა" – „ლოკომოტივი" (19.40), „მანჩესტერ იუნაიტედი" – „დეპორტივო" (22.45), „ბარსელონა" – „ბაიერი" (0.30), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა (18.30), ჩოგბურთი. „Masters Cup" (22.35).

**14 ნოემბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია, I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (10.05), ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (10.45, 22.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (15.15, 20.00), ***ORT (1).*** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ლატვია – რუსეთი (1.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი: მსოფლიო 2002 წლის ჩემპიონატის გზით (11.30, 12.30, 13.30, 14.00, 14, 30, 15.00), პლეი-ოფების სერიის წინ (15.30, 23.00), მსოფლიო 2002 წლის ჩემპიონატის გზით (16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00, 20.30, 21.30, 22.30, 0.00, 3.15). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: პირველი ეტაპის საუკეთესო მატჩები (13.15), „მანჩესტერ იუნაიტედი" – „დეპორტივო" (15.30), „ბარსელონა" – „ბაიერი" (17.15), „ლოკომოტივი" – „რომა" (19.20), „იუვენტუსი" – „პორტუ" (21.15), არგენტინის საფეხბურთო გეოგრაფია (23.00), მსოფლიო 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი (23.25), რუსეთის ჩემპიონატის შედეგები (1.35). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი."Masters Cup" (11.30, 23.30), კალათბურთი, ევროლიგა. რუსეთის „ურალ-გრეიტი" – საბერძნეთის „აეკ"-ი (18.25).

**15 ნოემბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** საკალათბურთო მიმოხილვა (17.20), ფეხბურთი. კოტე მახარაძის სახელობის საიუბილეო მატჩები ჭაბუკთა შორის. რეპორტაჟი თბ. სპორტის სასახლიდან (18.15), ***რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 21.40), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი: მსოფლიო 2002 წლის ჩემპიონატის გზით (11.30, 12.30), მსოფლიო ჩემპიონატის შესახვედრად (13.30, 14.00, 14.30). მსოფლიო ჩემპიონატი 2002 წლის გზით (19.00), მსოფლიო ჩემპიონატის 2002 წლის შესახვედრად (20.00, 20.30), კრივი. საერთაშორისო მატჩი (0.00), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. უეფა (2.15, 3.15). ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიოს 2002 წლის შესარჩევი მატჩი: გერმანია – უკრაინა (15.00), ჩემპიონთა ლიგა. პირველი ეტაპის საუკეთესო მატჩები (15.00, 17.00, 19.20, 23.05), არგენტინის საფეხბურთო გეოგრაფია (0.50). ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი: ევროლიგა (15.45, 20.55), ნბა-ს მიმოხილვა (23.10), ჩოგბურთი: "Masters Cup" (23.40).

## ლუის – რახმანის მატჩზე ფსონები შეიცვალა



ცნობილმა ბრიტანელმა საბუკმეკერო ფირმა „უილიამს ჰილმა" შეამცირა კოეფიციენტი ხასამ რახმანის გამარჯვებაზე ვბც და იბფ-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ლენოქს ლუისის წინააღმდეგ. შესაბამისად გაიზარდა ლუისის კოეფიციენტი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ლენოქს გულშემატკივრები აღარ ენდობიან.

**ქ. თბილისის ტანვარჯიშულ სახეობათა ფედერაცია და მისი აღმასკომი, სამძიმარს უცხადებენ ამავე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, ვეტერან ტანმოვარჯიშეს კონსტანტინე ლაშხს მამის ედბერდი ლაშხის გარდაცვალების გამო.**

## კროსვორდი №89



**თარაზულად:** 6. თბილისის საფეხბ. კლუბ „ლოკომოტივის" მწვრთნელი, 7. ესპანეთის საფეხბ. კლუბი, 8. ქართული ხალხური თამაშობა, 9. ჯილდო, რომელიც გადაეცემათ კინოსა და ჭადრაკის ვარსკვლავებს, 10. ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი, 11. ფრანგი ფეხბურთელი, 12. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 15. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 16. სფფ-ს ვიცე პრეზიდენტი, 18. გადაწოდება ანუ... 19. სამედიცინო დარგი, რომელიც სწავლობს გულის დაავადებებს. 23. გაფრთხილება ძიუდოში, 24. ბუნდესლიგის საფეხბ. კლუბი, 25. იტალიის საფეხბ. კლუბი, 26. პროფესიონალი მოკრივე, 27. სამხ. აფრიკელი ფეხბურთელი.

**შვეულად:** 1. ყველაზე მაღალი კალათბურთელი ყაზახეთიდან საბჭოთა ნაკრებში, 2. ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი ქართველი ფეხბურთელი, 3. პროფესიონალი მოკრივე, 4. 1992 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 5. მდინარე აღმოსავლეთ ევროპაში, 11. არგენტინის ნაკრებისა და „რომას" ფეხბურთელი, 13. ინგლისის საფეხბურთო კლუბი. 14. ინგლისელი ფეხბურთელი, 17. საქართველოს საფეხბ. კლუბი, 20 რაგბის საერთაშორისო ორგანიზაციის აბრევიატურა. 21. თავადაზნაურთა უმაღლესი ტიტული ინგლისში, 22. ძალოსნობაში ორჭიდის ერთ-ერთი პროგრამა.

### კროსვორდი №88-ის პასუხები

**თარაზულად:** 1. ოინი, 4. ჩუი, 6. კრუიფი, 9. ფოლი, 10. მოგვერდი, 11. გატა, 12. ლატარეა, 14. რალი, 15. ქულა, 18. ავალიშვილი, 20. ხმალი, 22. ტალტსი, 23. ისა, 24. დეშამი, 25. ნოა. **შვეულად:** 1. „ოლიმპი", 2. დურდიაძე, 3. „ოფი", 5. ურო, 7. ხიზანიშვილი, 8. ქველიაშვილი, 9. ფიგურა, 13. ტუა, 16. ლისტონი, 17. ლახტი, 19. იტალია, 21. შაში.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი



ნადიშამათი 4 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული (ნადიშამათი 5 სვლაში) ამოცანის ამოხსნა:

შავები იწყებენ და ხელს უწყობენ თეთრებს, რომ დააშამათონ შავების მეფე.

1. ეd5 კd6 2. მფg7 კh2
3. მფf6 კg1 4. მფe5 მc5
5. მფd4 f4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, 8. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX ● „ლელოს" კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.